# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 7 იანვარი, 2012 წელი.

№4 (6881)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


# გილოცავთ ქრისტეშობის ბრწყინვალე დღესასწაულს!



## ღირსსახსოვარი საღამო პატრიარქის დაბადების დღეს მიეძღვნა ②



## მთავარია, საქართველოს მიწა-წყალზე რუსეთის გავლენა შევასუსტოთ ③

## 8 ქვეყანა, რომლებიც ამერიკის დალმასვლით დაზარალდებიან ⑧

მერაბ ელიოზიშვილი ⑥

## ბებერი მეზურნეები

## ჭაბუკი გულის ამომახილი ⑦





## გარდამავალი ასაკი, დაუსრულებელი ბავშვობა... ④

◉ „ჰოლივუდის ღიმილი“

# ყველაზე, ყველაზე, ყველაზე... საქართველოში

**მიიწურა 2011 წელი და ბუნებრივია, რომ ყველამ „წიწილების“ დათვლა დაიწყო.**

**არა, მართლაც რომ უცნაური ხალხი ვართ ქართველები. უცნაურები, რადგანაც, როგორც წესი, წიწილებს შემოდგომაზე ითვლიან, ჩვენ კი ამას დეკემბრის ბოლოს, ან იანვრის დასაწყისში ვაკეთებთ.**

**პრინციპში არც გაგვემტყუნება, რადგანაც ეს ჩვენი ე.წ. პოლიტიკოსები ყოველ გაზაფხულზე ისეთ „ცხელ“ შემოდგომას (შემოდგომით კი „ცხელ“ გაზაფხულს) გვპირდებიან, რომ წიწილების დათვლაზე ვინ „ჭკუათმყოფელი“ იფიქრებს.**

მოდით, ამ სევდაშეპარულ „ლიტერატურას“ თავი დავანებოთ და გადავხედოთ, თუ ვინ რამდენი „წიწილა“ „ჩაითვალა“ საახალწლო ხურჯინში.

დავიწყოთ ხელისუფლებიდან.

ხელისუფლებიდან, ანუ პრეზიდენტიდან.

დიახ, სწორედაც რომ პრეზიდენტიდან, რადგანაც სხვადასხვა „კურიერის“ ინფორმაციით, გასულ წელს მის საბუდარში ყველაზე მეტი „წიწილა“ (ანუ გაკეთებული, თუ დღე-დღეზე გასაკეთებელი საქმე), „გამოიჩეკა“.

დავიწყოთ მისი ბოლო პროექტიდან, სახელწოდებით „ჰოლივუდის ღიმილი“.

ამ პროექტმა მხოლოდ ღიმილი კი არა, ჰომერული სიცილიც გამოიწვია როგორც საქართველოში, ასევე ჰოლივუდში.

ზუსტად ვერ გეტყვით, თუ როგორი ფორმით განხორციელდება ეს „შესანიშნავი“ წამოწყება, მაგრამ განათლების სისტემაში გატარებული რეფორმის ერთ-ერთი მიმართულების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თამამად შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მალე საქართველოს ყველა „საერთაშორისო“ აეროპორტში დაეშვებიან ლაინერები, რომლებიც მთელს მსოფლიოში (და განსაკუთრებით ჰოლივუდში) შეგროვილ სტომატოლოგებს ჩამოუყვანენ ბევრი ჭამისგან კბილებდაცვეთილ ქართველებს, ხოლო არჩევნების წინ გამოჩნდება ბანერები წარწერით „ჩასასმელი და დასაბჟენი კიდევ ბევრია!“

პრეზიდენტის „წიწილებში“ მეორე ადგილი უდავოდ ახლადგახსნილ საავადმყოფოებს ეკუთვნის.

ბევრმა ვერ გაიგო ამ პროექტის არსი და მრავალი შენიშვნა გამოთქვა.

მინდა მივმართო ამ ხალხს და პირდაპირ ვუთხრა: — ნურას უკაცრავად. ეს პროექტი პირდაპირი და უმოკლესი გზაა საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრების იდეის განსახორციელებლად!

როგორ? როგორ და დღევანდელი ფასებიდან და საქართველოს მოსახლეობის მატერიალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ჩვენი მოქალაქეები ვერ შეძლებენ ამ „სამკურნალო დაწესებულებებით“ სარგებლობას. აქედან გამომდინარე ნებისმიერი მონიტორინგი დაადგენს, რომ „საქართველოს მოსახლეობა ყველაზე ჯანმრთელი მოსახლეობაა მთელს მსოფლიოში“.

დაადგენს და ნატოს კარიც მაშინვე „მოფრიალდება“.

ეგეც რომ არ იყოს, ბოლოს და ბოლოს ტურიზმის განვითარებას შეუწყობს ხელს.

როგორ? როგორ და ძალიან მარტივად. მედპერსონალი თავისუფალ „კოიკებს“ იაფად გააქირავებს. ამით ტურისტებს ჩამოსასვლელად მეტი სტიმული მიეცემათ, მედპერსონალი ერთი-ორ კაპიკს შეიტანს ოჯახში და, რაც მთავარია, ბიუჯეტიც მნიშვნელოვნად „იხეირებს“.

მესამე და მეოთხე ადგილები ღირსეულად გაიყვეს სენ ტროპესა და ნიცაზე უკეთესმა ქალაქმა ანაკლიამ და ამერიკულმა სიმინდმა.

ხმების დათვლის დროს ჟიურის აზრი ორად გაიყო. ისინი, ვინც ნიცაში, კანში და შვეიცარიის ალპებში დასვენებას არიან მიჩვეულნი, მხარს ანაკლიას უჭერდნენ, ხოლო ისინი კი, ვინც ჭადსა და ამოზელილ ლობიოს ამჯობინებს სხვადასხვა პუდინგებსა თუ ჟულიენებს, ბუნებრივია, ამერიკული სიმინდის მხარეს დადგნენ.

სწორედ ამიტომაც მესამე და მეოთხე ადგილებზე ანაკლია და ჰიბრიდული სიმინდი გავიდნენ.

ჯერ „გამოუჩეკავ წიწილებში“ კი პირველი ადგილი ლაზიკამ დაიკავა.

ამ ყველა პროექტს თან ახლდა პრეზიდენტის ფრთიანი ფრაზები, რომლებიდანაც მეტად გამორჩეული იყო ერთ-ერთ კლინიკაში სტუმრობისას ნათქვამი: — მადლობა, რომ დროზე გააჩინე ბავშვი!

კიდევ უამრავი საინტერესო „წამოწყება“ იყო საქართველოს ხელისუფლების მხრიდან. საინტერესო, აქტუალური და, რაც მთავარია, ხალხისთვის „სასარგებლო“.

„ყვითელი მარშრუტკები“, ერთმანეთზე „გადაფსკვნილი“ დენი და ნაგავი, „კვერცხებიანი შლოპანცები“ და გიგანტური ველოსიპედი, ნახევარი ჰექტრის დასამუშავებლად სამყოფი ოცდაათლარიანი ვაუჩერი, საგადასახადო თუ საარჩევნო კოდექსები, „საკანონმდებლო მაცნეში“ გამოქვეყნებული კანონების ცვლილებებზე იუსტიციის სამინისტროს პრეროგატივა და კიდევ უამრავი რამ, რაც „ყველაზე, ყველაზე, ყველაზე...“ იყო გასულ წელს.

იყო, ნამდვილად იყო, მაგრამ მათი ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს. ამიტომ მოდით, ხელისუფლებას თავი დავანებოთ და ოპოზიციის „წიწილებს“ გადავხედოთ.

აქ საკმაოდ დიდი გაურკვევლობა წარმოიშვა, რადგანაც ვერაფრით ვერ დადგინდა, თუ ვინ უფრო მეტი „წიწილა დააგროვა“.

დიახ, სწორედაც რომ გაურკვევლობა, რადგანაც ერთნი ამბობენ, რომ ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში შემოსვლით ხალხის იმედი და სიყვარული მოიპოვაო, მაგრამ სხვებმა თქვეს, რომ ივანიშვილის ბუდეში მოკალათებული „წიწილების“ უმრავლესობა, „გუგულის ბარტყები“ უფრო არიან, ვიდრე ქართული ოცნების ამსრულებელი ხალხიო.

სწორედ ამიტომაც კონკრეტული დასკვნების გაკეთება ჯერ ნაადრევია და ამიტომ ცოტა მოვითმინოთ, დავაკვირდეთ და შედეგები შემდეგ დავთვალოთ.

ისე, გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, რომ ივანიშვილის „მრჩევლებსაც“ და იმ ოთხ „პოლიტიკურ ძალასაც“ კაი ქერის ორმოსთვის ჰქონდათ მიგნებული, მანამ, სანამ „მრჩეველთა საბჭო“ თავად ივანიშვილმა არ დაშალა, ხოლო ნიბლიასავით გატრუნულ იმ ოთხ პარტიას ხელისუფლებამ ალალივით არ ჩამოუქროლა.

არადა, რაც მართალი მართალია, რომ ეს ჩვენი „ერის მამები“, მართლაც ყველაზე, ყველაზე, ყველაზე... არიან არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს მსოფლიოშიც.

**გია გაბრიჭიძე**



◉ ინფორმაცია

### საპატრიარქო მრევლს აფრთხილებს

**საქართველოს საპატრიარქო განცხადებას ავრცელებს და მრევლს აფრთხილებს: ნუ მიიღებენ საეჭვო წარმომავლობის ცომეულს, რომელიც თითქოს წმინდა მატრონას სახელობის მონასტრიდანა.**

**„როგორც შეგვატყობინეს, ბოლო პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე (უმეტესად თბილისში) ვრცელდება ცომი (ან პური, გამოცხობის თანდართული რეცეპტით) თითქოსდა წმინდა მატრონას სახელობის მონასტრიდან. წმინდა მატრონას სავანე თავის ოფიციალურ საიტზე მორწმუნეებს აფრთხილებს, რომ ეს სიცრუეა და ამ ცომსა და პურთან მონასტერს არავითარი კავშირი არ აქვს.**

### სამების ტაძარში სიწმინდეები დააბრძანეს

**სამების საკათედრო ტაძარში მარმარილოს ფილა „ქრისტე არს ძლევაი“ და ათონის მთიდან, მონასტერ „ივერონიდან“ ჩამოტანილი მიწა დააბრძანეს. როგორც ჯგუფის ხელმძღვანელმა, ფონდ „ივერიის“ დამფუძნებელმა პაატა ბურჭულაძემ განაცხადა, ეს ფილა და მიწა ფონდის ჯგუფმა ათონის მთიდან მესამედ სტუმრობისას წამოიღო.**

**— ჩვენი ჯგუფი იმყოფებოდა ამ მონასტერში პატრიარქის ლოცვა-კურთხევით. ბერებმა ჩვენ გადმოგვცეს ფილა, რომელსაც აწერია „ქრისტე არს ძლევაი“, ასევე მიწა. ჩვენ ეს ფილა და მიწა დავაბრძანეთ სამების ტაძარში, ხოლო 17 აპრილს გადავაბრძანებთ მახათას მთაზე, სადაც იწყება ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის მშენებლობა. ეს ფილაც და მიწაც ტაძრის საძირკველში ჩაბრძანდება, — აღნიშნა პაატა ბურჭულაძემ.**

**ფილა „ქრისტე არს ძლევაი“ და ივერონის მონასტრის მიწა — ხატის „საქართველოს იმედი“ გვერდით დააბრძანეს.**

ინტერპრესნიუსი

## ღირსსახსოვარი საღამო პატრიარქის დაბადების დღეს მიეძღვნა

# ვერდის ოპერის „ბედის ძალის“ საკონცერტო შესრულება

**მართლაცდა, ღირსსახსოვრად დარჩება ყველასთვის საღამო, რომელიც გაიმართა ა.გრიბოედოვის სახელობის რუსულ დრამატულ თეატრში, სადაც საკონცერტო შესრულებით წარმოადგინეს ვერდის ოპერა „ბედის ძალა“.**

**საღამო მიეძღვნა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადების დღეს (4 იანვარი) და წარმოადგენდა პაატა ბურჭულაძის ცნობილი საქველმოქმედო ფონდის „იავნანას“ მორიგ წარმატებულ პროექტს, რომელიც განხორციელდა ზ.ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის (მმართველი დავით საყვარელიძე, მთავარი დირიჟორი ლუკა მარჩიანო) მიერ.**



...ჯერ კიდევ 1877-1878 წლების სეზონში თბილისში დადგმული ვერდის ეს ოპერა აღარ განახლებულა ჩვენი თეატრის სცენაზე და აი, ახლა, სახელოვანი მომღერლისა და ქველმოქმედის პაატა ბურჭულაძის ინიციატივით იგი წარმოდგა ქართველი მსმენელის წინაშე.

საზოგადოდ, „ბედის ძალა“, მიუხედავად მისი უდავო მხატვრული ღირსებებისა, შედარებით იშვიათად იდგმება სცენაზე. მიზეზი საფიქრებელია, მისი სიუჟეტის მეტისმეტი მელოდრამატულობაა. ვფიქრობ, ამით აიხსნება ის, რომ ოპერა ძალიან იგებს სწორედ საკონცერტო შესრულებით.

ენერგიულმა და ოპერატიულმა დირიჟორმა ლუკა მარჩიანომ წარმატებით დაძლია რთული შემოქმედებითი ამოცანა — საოპერო ნაწარმოების ყველა რგოლის — მომღერალი-სოლისტების, გუნდისა და სიმფონიური ორკესტრის მხატვრული კოორდინირების პრობლემა. მით უმეტეს, რომ ვერდის ოპერის პარტიტურა ფრიად დიდ სიძნელეებს უქმნის ყველა შემსრულებელს.

მაყურებლის წინაშე წარმოდგა ქართველ მომღერალთა უფროსი და ახალგაზრდული თაობების ჩინებული ანსამბლი.

ვერდის ოპერაში თავისი სირთულითა და გამომსახველობით განსაკუთრებით გამოირჩევა ლეონორას პარტია (სოპრანო), რომლის შემსრულებლადაც წარმოგვიდგა ძლიერი და ლამაზი ხმის მქონე ნანა ქართველიშვილი (იგი იტალიის სხვადასხვა საოპერო თეატრის სოლისტია). მან შესანიშნავად წარმართა თავისი პარტია და მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

როგორც ყოველთვის, მოწოდების სიმაღლეზე იყო ალვაროს პარტიის შემსრულებელი ბადრი მაისურაძე (ტენორი) — საერთაშორისო მასშტაბის აღიარებული მომღერალი. მან საუკეთესო პროფესიულ დონეზე შეასრულა არა მარტო თავისი ცნობილი არია, არამედ საანსამბლო ნომრებიც.

კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) გაგვახარა ჩვენმა საყვარელმა პაატა ბურჭულაძემ (პადრე გუარდიანოს როლში), რომელიც დღესაც ჩინებულ არტისტულ და ვოკალურ ფორმაშია და მსმენელთა აღტაცებას იწვევს.

პრეციოზილას საკმაოდ რთულ პარტიაში კარგად აჩვენა თავი ნიჭიერმა თეა დემურიშვილმა (მეცო სოპრანო), რომელიც რამდენიმეწლიანი საზღვარგარეთული არტისტული მოღვაწეობის შემდეგ მშობლიურ თეატრს დაუბრუნდა.

ერთადერთი უცხოელი (იტალიელი) მონაწილე მომღერალი გახლდათ ბარიტონი ალბერტო რინალდო (ფრა-მელიტონეს პარტია). მისი შესრულება და კომიკოსის ნიჭი ღირსეულად დააფასეს მსმენელებმა.

აღვნიშნოთ სხვა მონაწილეებიც — ნიჭიერი ახალგაზრდა მომღერლები გოჩა დათუსანი (მარკიზი), ელენა პუტილოვა (კურა), ვახტანგ ჯაშიაშვილი (ალკადე), ირაკლი მურჯიკნელი (ტრაბუკო), მიხეილ ბახტაძე (დონ კარლო).

ოპერაში საკმაოდ დიდი როლი აქვთ მიკუთვნებული ორკესტრს (უვერტიურა და რამდენიმე ეპიზოდი) და გუნდს (პოპულარული სიმღერა „რატაპლანი“ და სხვ), რაც ორკესტრისა და გუნდის კოლექტივების მონაწილეთა და მათი ხელმძღვანელების — დირიჟორ ლ.მარჩიანოს და ქორმაისტერების — ავთანდილ ჩხენკელისა და შალვა შაორშაძის დამსახურებაა.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ განხორციელდა საქველმოქმედო აქტი (მრავალშვილიანი ოჯახისათვის ბინის გასაღების გადაცემა), რომელშიც მონაწილეობდნენ პაატა ბურჭულაძე და საღამოს გენერალური სპონსორი „თიბისი ბანკის“ დამფუძნებელი ბატონი მამუკა ხაზარაძე.

დასასრულ, დარბაზში მყოფთა და მთელი ქართველი ერის სახელით პაატა ბურჭულაძემ დაბადების დღე მიულოცა და დღეგრძელობა უსურვა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს.

ამ მილოცვას მთელი სულითა და გულით და ღრმა პატივისცემით უერთდება წერილის ავტორი და „საქართველოს რესპუბლიკის“ ყველა მკითხველი.

**გულბათ ტორაძე**

## პერსპექტივა

# მთავარია, საქართველოს მიწა-წყალზე რუსეთის გავლენა შევასუსტოთ



**როგორ უნდა დავიბრუნოთ აფხაზეთი და სამაჩაბლო?! ამ მიზნით შეიქმნა საზოგადოებრივ მოძრაობა „ქართულ ოცნებაში" კონფლიქტების მოგვარების თემატური ჯგუფი, რომელიც შესაბამის კონცეფციას მოამზადებს და საკუთარ მოსაზრებებს აფხაზურ და ოსურ საზოგადოებას მიაწვდის. კონფლიქტების მოგვარების თემატურ ჯგუფს გია ვოლსკი, პაატა ზაქარეიშვილი, ლევან ლორთქიფანიძე, გიორგი ჩიქოვანი, ზურაბ ბედიანაშვილი და გიორგი ხუციშვილი ხელმძღვანელობენ. Presage.tv დაინტერესდა, როგორია პაატა ზაქარეიშვილის ხედვა კონფლიქტების მოგვარების თვალსაზრისით.**

— სასიამოვნოა, რომ ახალი ადამიანები გვემატებიან, ახალი ექსპერტები. მათთან ურთიერთობა საინტერესო იქნება და რამდენიმე თვეში, ორ-სამ თვეშიც კი, შესაძლოა, საინტერესო კონცეფცია დაიდოს, რომელიც პროექტის სახით იქნება. ფართო საზოგადოებას მიეცემა საშუალება, გააკრიტიკოს, მიიღოს მისაღები და ჩამოყალიბდეს ამ კონცეფციასთან დაკავშირებით.

**— კონფლიქტების მოგვარების თქვენეული ხედვა როგორია?**

— მე შემიძლია ჩემეული ხედვის შესახებ გითხრათ, რადგან სამუშაო ჯგუფის სახელით ვერ დაგელაპარაკებით, ჯერ არანაირი დოკუმენტი არ გვაქვს ჯგუფის სახელით. ჩემეული ხედვის გატანასა და დაცვას კი ამ ჯგუფში შევეცდები. მთავარია, რომ აფხაზებთან და ოსებთან პირდაპირი კონტაქტებით შევასუსტოთ რუსეთის გავლენები საქართველოს ტერიტორიაზე. ამის უნიკალური გამოცდილება მაქვს, დიდი ხანია, მიმუშავია და ვიცი, რომ ამის გაკეთება შესაძლებელია, თუმცა, რა თქმა უნდა, ძალიან რთული იქნება.

**— უნდა ამოქმედდეს სახალხო დიპლომატიაც?**

— მათ შორის, სახალხო დიპლომატიაც და ეს უწინარესად უნდა მოხდეს, რადგან ისინი პოლიტიკოსებს არ ელაპარაკებიან. ამიტომ უფრო სახალხო დიპლომატიით შეიძლება ურთიერთობის მოგვარება. ვაჩვენოთ აფხაზებსა და ოსებს კონფლიქტის მოგვარების ახალი პერსპექტივები, ისე, რომ, მათი ღირსებაც შენახული იყოს, მათი უსაფრთხოებაც დაცულ იყოს და საქართველოს ინტერესებიც გათვალისწინებულ იქნას. აქამდე პრობლემა რა იყო? ჩვენ მათ არ ველაპარაკებოდით, არ ვთავაზობდით ჩართულობას საერთო სახელმწიფოს შექმნაში.

**— უნდათ კი საქართველოსთან დაბრუნება? ამდენი ხნის მანძილზე ეს შეკითხვა კვლავაც აქტუალურად რჩება.**

— მე მგონი, რომ უნდათ, მაგრამ, როცა მათ მე, მოქალაქე პაატა ზაქარეიშვილი, ველაპარაკები, ეს ერთია, მაგრამ, როცა ელაპარაკები უკვე სახელმწიფოს სახელით, სულ სხვა დატვირთვისაა. დარწმუნებული ვარ, ეს მოძრაობა („ქართული ოცნება"-ძ წარმატებას მიაღწევს იმდენად, რომ უფლება ექნება, სახელმწიფოს სახელით ელაპარაკოს აფხაზებსა და ოსებს, დარწმუნებული ვარ, უფრო თამამად წამოვლენ. მათი არჩევანი რა არის? რუსეთი და საქართველო. სხვა არჩევანი მათ არ აქვთ.

**— ეს გულისხმობს მათთვის ფართო ავტონომიის მინიჭებას, რაზეც „რესპუბლიკელებს" თავის დროზე საყვედურობდნენ?**

— ფართო ავტონომიას შევარდნაძე სთავაზობდა, „რესპუბლიკელები" კი ფედერაციულ სუბიექტობას ვთავაზობდით. საერთოდ, ავტონომიას სთავაზობს ცენტრი, ფედერაცია კი უფრო მაღალია; ფედერაციულ სუბიექტთან ცენტრი დებს ხელშეკრულებას და ვეღარ ერევა მის საქმეებში, ხოლო ავტონომიას მე შენ გაძლევ და, როცა მომინდება, წაგართმევ.

**— ე.წ. სამხრეთ ოსეთში გამარჯვებული საპრეზიდენტო კანდიდატი ალა ჯიოევა მონანიებისკენ მოუწოდებს საქართველოს. მისი თქმით, საქართველომ უნდა მოინანიოს, რასაც პერმანენტულად აკეთებდა ე.წ. სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით. უნდა მოინანიოს გამსახურდიას, სააკაშვილის გამო.**

— ეს მათი პოზიციაა.

**— გვაქვს კი ბოდიში მოსახდელი? ორმხრივი არ უნდა იყოს ბოდიში?**

— ორმხრივი ბოდიში არ არსებობს. ბოდიში არსებობს განწყობიდან გამომდინარე. როცა მარხვაში შევდივართ, სიტყვაზე, არ ველოდებით, რომ ვინსაც ბოდიშს ვუხდით, მაინცდამაინც იმანაც მომიხადოს ბოდიში. ბოდიში არის უაღრესად მაღალი დონის, მორალური რელიგიური პასუხისმგებლობა, სხვა არაფერი. ბოდიშის მომხდელისთვის ეს არავითარი სამართლებრივი პოზიცია არ არის, გინდ მოიხდი, გინდ — არა. მე მგონია, ჩვენ საკმარისად ბევრი შეცდომა დავუშვით ოსებისა და აფხაზების მიმართ იმისთვის, რომ ვაღიაროთ ეს შეცდომები. მე მგონი, ჩვენ ამაზე უნდა წავიდეთ. ბოდიშის ცნება ზოგადად ძალიან ეფემერულია. თუ ისევ ჩავიდინე, რაც ჩემთვის მიუღებელია, რა აზრი აქვს ბოდიშის მოხდას?! მთავარია, გავიაზროთ ის შეცდომები და ნაბიჯები, რაც არ უნდა გადაგვედგა და ვთქვათ, ეს ნაბიჯები იყო არასწორი და ამიერიდან აღარ გადავდგამთ.

**— ბოდიშის მოხდა რისთვის სჭირდებათ ჩვენგან? ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არ აპირებენ ჩვენთან რეალურ დიალოგს და მიზეზებს ეძებენ?**

— ბოდიშის მოხდა იმისთვის სჭირდებათ, რათა დაინახონ, ქართველები მიხვდებიან თუ არა თავის შეცდომებს, მე ასე მგონია.

**— ჩვენთან მიმართებით თავად არ აქვთ შეცდომები დაშვებული?**

— მაგრამ ისინი არ აპირებენ ჩვენთან შერიგებას. ჩვენ ვაპირებთ, ხომ? ჩვენ გვინდა მათი დაბრუნება. როგორც ადამიანებმა, უნდა მოვინანიოთ. თუ საჭიროა, ეს ნაბიჯიც უნდა გადავდგათ. რაკი თქვა ჯიოევამ, ახლა ეგრევე ბოდიში უნდა მოვიხადოთ? ჯერ უნდა დაველაპარაკოთ ჯიოევას. ამის საშუალება არსებობს. მე, პაატა ზაქარეიშვილი კი არა, სახელმწიფო უნდა ელაპარაკოს.

**— კონფლიქტურ მხარეებს როცა შეხვდებით, თქვენი პირველი გზავნილი რა იქნება, თუნდაც ჯიოევასადმი?**

— არსებობს უამრავი გზავნილი, და მაინც, პირველი გზავნილი ის იქნება, რომ ვეტყვით — ხომ ხედავთ, თქვენ ჩვენს გარეშე ვერ ქმნით სახელმწიფოს და ვერც ვერაფერს, ჩვენ თქვენს გარეშე კი ვერ აღვადგენთ ტერიტორიულ მთლიანობას. მოდით, გავიაზროთ ის პასუხისმგებლობა, რომ თქვენ ჩვენს გარეშე თქვენს ინტერესებს ვერ განახორციელებთ და პირიქით, ჩვენც თქვენს გარეშე ვერ ვახორციელებთ ჩვენს ინტერესებს. დღეიდან დავიწყოთ ურთიერთობა. რაზეც შეგვიძლია, იმ თემაზე ვესაუბროთ. შეგვიძლია ხელახლა აღვადგინოთ, სიტყვაზე, ერგნეთის ბაზრობა? — კი ბატონო.

**— ამ ეტაპზე თუ ხვდებით აფხაზებს, ოსებს?**

— მოლაპარაკების დონეზე არა, მაგრამ შეხვედრები მაქვს. აფხაზეთიდან ახლახან ჩამოვედი. განწყობა არასახარბიელოა, მათ არ უხარიათ და არ არიან ბედნიერები იმით, რომ რუსეთი ასე ფლობს აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთს. ნამდვილად არ არის ასე. მაგრამ ისინი სხვა გამოსავალს ვერ ხედავენ, ისინი მარტო ხვალინდელ, ზეგინდელ დღეზე ფიქრობენ და არ ფიქრობენ, თუ რა იქნება ათი დღის შემდეგ. მათი ცხოვრება არსებობაზეა გადასული და არა — გარკვეულ პერსპექტივაზე, სახელმწიფოს მშენებლობაზე. კარგად იციან, რომ რუსეთი მათ ამის საშუალებას არ მისცემს. მაგრამ საქართველოც რომ არანაირ გამოსავალს არ აძლევს, რომ დაიწყონ ჩვენთან მოლაპარაკებები?! საიდუმლო არ არის, თუ ვისთან მქონდა შეხვედრები. თუმცა ეს იყო არა საჯარო შეხვედრები, არამედ იყო პროექტებზე საუბარი. მქონდა აფხაზურ მხარესთან შეხვედრები, სულ მალე მექნება ოსურ მხარესთან შეხვედრები.

**მანანა ნოზაძე**

## საგადასახადო სფერო

# ამბავი ძველმოდური სალარო აპარატების „დაუღვინებლობისა"

**მარადიული მზისქვეშეთში, მოგეხსენებათ, არაფერია. მით უმეტეს თანამედროვე სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისეთ მშფოთვარე და მეტად თავისებურ სფეროში, როგორიცაა გადასახადები. დამოუკიდებლობის მოპოვებიდან კარგა ხნის ათვლადაწყებულ მესამე ათწლეულში ჩვენში საგადასახადო სფეროს ჯერ კიდევ ბოლომდე „დაუღვინებლობას" თუნდაც საგადასახადო კოდექსში დაუსრულებელი ცვლილებები, დამატებები, დაზუსტებები და ათასი ამგვარი რამ მოწმობს.**

თავად საგადასახადო კოდექსი იმდენად ვრცელი და ტევადი თემაა, მასზე ლაპარაკი, ფაქტობრივად, დაუსრულებლად შეიძლება, მით უმეტეს მაშინ, როცა თუნდაც ერთი წლის წინათ მიღებულ ამ უმნიშვნელოვანეს ფინანსურ კანონში მრავალი დებულება, რბილად რომ ვთქვათ, საკამათოა. თუმცა მთლიანად საგადასახადო კოდექსს ჯერჯერობით თავი დავანებოთ და გადასახადებთან დაკავშირებით ისეთ თითქოსდა მარტივ საკითხზე შევჩერდეთ, როგორიცაა სალარო აპარატები.

სალარო აპარატები პროდუქციის თუ მომსახურების მომხმარებლისთვის მიწოდების, შესაბამისად მეწარმის ეკონომიკური საქმიანობის, შემოსავლის ოდენობისა და, მაშასადამე, გადასახადების მოცულობის გაკონტროლება-დასადგენად რომ უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, ამის თაობაზე არავინ დავობს. გაკვირვებას, თანაც დიდს, უფრო ის გარემოება იწვევს, რომ ამ ერთი შეხედვით მარტივ საკითხზე ჩვენი ეროვნული „ფინანსური კაპიტნები" საბოლოოდ ვერა და ვერ ჩამოყალიბდნენ.

საგადასახადო შემოსავლის მიღებისა და სახელმწიფო ხაზინის დროულად და ჯეროვნად შესავსებად სალარო აპარატებთან დაკავშირებით ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მიდგომა ბოლო ხანებში რამდენჯერმე შეიცვალა. დადგენილი წესებისა და სალარო აპარატების შერჩეული მოდელებით მეწარმე სუბიექტების აღჭურვის თაობაზე მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილებები არაერთხელ შეიცვალა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბოლოსწინა გადაწყვეტილება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა დაახლოებით ერთი წლის წინათ მიიღო. ამ გადაწყვეტილებით, 2012 წლის 1 იანვრიდან საქართველოს ყველა მეწარმე სუბიექტს GPRS სისტემით აღჭურვილი სალარო აპარატით უნდა ჰქონოდა. ამ მიზნით აღნიშნულმა სტრუქტურამ 13 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერი გამოაცხადა სათანადო მოწყობილობების შემოტანაზე, რომელშიც „ჯორჯიან ნეთვორქ სერვისთან" დაკავშირებულმა ბულგარულმა კომპანია „დეიზი ტექნოლოჯიმ" გაიმარჯვა. კომპიუტრული კავშირის სათანადო პროგრამით აღჭურვილი ახალი ტიპის სალარო აპარატების რეგისტრირება საქართველოში შარშან აგვისტოს დამდეგიდან დაიწყო და, შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით, სადღეისოდ 80 ათასზე მეტი სალარო აპარატია გაცემული.

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ 2011 წლის 1 იანვრიდან ამოქმედებულ ახალი საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად, **გადასახადების გადამხდელ მეწარმე სუბიექტთა ერთი ნაწილი, ანუ ეგრეთ წოდებული მიკრობიზნესის წარმომადგენლები, რომელთა წლიური ბრუნვა 30 ათას ლარს არ აღემატება და დაქირავებულ შრომას არ იყენებენ, სალარო აპარატების ქონების ვალდებულებისგან გათავისუფლებული არიან.** ასეთი საქართველოში სადღეისოდ დაახლოებით 9700 სუბიექტია — თუ რას საქმიანობს ეს ხალხი, ვფიქრობთ, ყველას კარგად მოგვეხსენება — ისინი ყველანი წვრილი ხელოსნები არიან. ამის შესახებაც და 30-ათასიანი ზღვრის დამმუხრუჭებელ როლზეც არაერთგზის გვითქვამს. რაც შეეხება, ასე ვთქვათ, **საშუალო ბიზნესის სეგმენტს, ვისი წლიური ბრუნვა 100 ათას ლარზე ნაკლებია, მათ შემოსავლების სამსახური GPRS-იან ახალი ტიპის სალარო აპარატებს უსასყიდლოდ გადასცემს** — მათი საქმე ამ მხრივ მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობის კანონიერად წარმართვა და გადასახადების სრულად და დროულად გადახდაა. **ეს ვალდებულება ასევე ყოველგვარი შეღავათის გარეშე ეხება ეროვნული ბიზნეს-ელიტას, ანუ მათ, ვისი წლიური ბრუნვა 100 ლარზე მეტია, სამაგიეროდ GPRS-ით აჭურვილი სალარო აპარატები მათ უკვე 290 ლარად უნდა შეიძინონ.** თუ ამ თანხის გადახდა პრობლემატური გახდა, ბიზნესმენებს თორმეტ თვეზე გათვლილი საპროცენტო საბანკო სესხით სარგებლობა შეუძლიათ.

შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ GPRS სისტემით აღჭურვლი სალარო აპარატების გამოყენებით განხორციელებული ყოველი ოპერაციის შესახებ ინფორმაცია სამსახურის მონაცემთა ბაზაში ონლაინ-რეჟიმში აისახება, ამდენად მის ინსპექტორებს ადგილებზე გასვლა აღარ დასჭირდებათ.

**GPRS სისტემით აღჭურვილი აპარატების გამოყენებასთან დაკავშირებული სიახლე ისაა, რომ შემოსავლების სამსახურმა მათი რეგისტრირების ვადა 2012 წლის 1 თებერვლამდე გადაწია, რაც, როგორც ჩანს, მათი გადაცემა-შესიდვის არასაკმარისი ტემპით იყო განპირობებული.** მაგრამ, ჩვენი აზრით, ყველაზე კურიოზული ის მომენტი გახლავთ, რომ შემოსავლების სამსახურის მაღალი რანგის მოხელეები იმ მეწარმეებს, ვისაც „ძველმოდური" სალარო აპარატები აქვთ, ისინი სანაგვეზე კი არ მოისროლონო, ან ჯართად არ ჩააბარონ, არამედ შეინახონ და, თუკი ამის „ვარიანტი" გამოუჩნდებათ, ისინი ეგრეთ წოდებულ „წაქცეული ქვეყნების" მეწარმეებზე გაყიდონ, სადაც GPRS სისტემას ჯერ არ შეუღწევია.

ისე, სიმართლე გითხრათ, ჩვენც ასე მოქცევას ვურჩევდით — ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო...

**ოთარ ტურაბელიძე**

## საშიში ეპიდემია

# გარდამავალი ასაკი, დაუსრულებელი ბავშვობა...



**გონებაშეზღუდული, ავადმყოფი ბავშვის ჩვეულებრივ სკოლაში სწავლა არ არის მიზანშეწონილი — ის სპეციალურ სკოლაში, თავისნაირ ბავშვებთან ერთად უნდა სწავლობდეს. ფსიქოლოგებმა და მედიკოსებმა დიდი ხნის წინათ აღნიშნეს: გონებაშეზღუდული ბავშვის ჩვეულებრივ სკოლაში გამოჩენისთანავე კლასში სწავლის და დისციპლინის დონე მკვეთრად კლებულობს. ერთი (ავადმყოფი) ბავშვის მიერ გარემოს აღქმის პრიმიტიულობა სხვებისთვის გადამდებია — უმრავლესობა, არაცნობიერად, სკოლაში არსებობის უფრო იოლ სქემას „მიჰყვება“. ეს ფენომენი სხვა საზოგადოებრივ მოვლენებშიც შეიმჩნევა...**

კატასტროფულად საშიში, უზარმაზარი ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობაზე, ფუნდამენტური მეცნიერების დაკნინებაზე, სოფლის მეურნეობის ბრიყვულად „მართვის“ პოლიტიკაზე, ენის (და ამდენად, მენტალობისძ დაბინძურებაზე, ეკონომიკაში მონოპოლიზმის გამეფებაზე და სხვა მრავალ საჭირბოროტო საკითხზე, თითქმის ყოველდღე, ბევრს და დამაჯერებლად ლაპარაკობენ. ამიტომ, ამის კიდევ ერთხელ გამეორებას აზრი არა აქვს. ისევ აჯობებს ყურადღება მივაქციოთ იმას, რაც ყოველდღიურად თვალში გვხვდება, მაგრამ სათანადოდ დაფიქსირება, დაკონკრეტება და გააზრება ჯერაც ვერ მოგვიხერხებია — ემოციებს ვართ გადაყოლილი.

ახალგაზრდობაში, ჩემი თაობა (არაქართული სიტყვების დამახინჯებითძ, თავისებურად მოიხმარდა ხოლმე განსაკუთრებულ ენას, რასაც ინგლისურად სლენგი ჰქვია. „სვეტობა“, „გასვეტება“, „გოიმობა“... ეს და სხვა მრავალი რაღაცის მახასიათებელი სიტყვები, ის მინიშნებები იყო, რომელთა საშუალებით თბილისის ახალგაზრდობა „სიყმაწვილის სენით“ გაჩენილ „მეამბოხეობას“ გამოხატავდა ან ბავშვურ კომპლექსებს იოკებდა. ეს გარდამავალი ასაკის ახალგაზრდული ავადმყოფობა 20-24 წლისთვის ქრებოდა — სიყმაწვილის სენი ადგილს უთმობდა ზრდასრული ადამიანისთვის დამახასიათებელ სხვა განწყობას: გარკვეულ სულიერ სიდინჯეს, ცხოვრების სირთულეების ადეკვატურად გააზრებას და ასე შემდეგ. სრულიად ბუნებრივი მეტამორფოზა ყმაწვილური უმწიფობიდან სიმწიფის პერიოდში გადაზრდით, რასაკვირველია, ყველაში არ ხორციელდებოდა — შედარებით მცირერიცხოვან სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებში, უკულტურო, უზნეო, უჭკუო ინდივიდთა ერთგვარ ერთობაში, გარდამავალი ასაკის „სიყმაწვილის სენი“ მათი ცხოვრების ბოლომდე გრძელდებოდა.

დღეს ჩვენი საზოგადოების ზრდასრული ნაწილის(!ძ დიდ ჯგუფს, ამის მაგვარი რამ სჭირს და მაპატიოს მკითხველმა, თუ ახალგაზრდობაში ნახმარ ზოგიერთ „სლენგურ“ სიტყვას მოვიშველიებ.

ვინმე კალატოზიშვილს ან მოროშკინას, გრიგოლიას, ან ისეთ გასაოცარ „ეგზემპლარებს“, როგორებიც არიან ბეგაშვილი ან ჩერგოლეიშვილი, ან სულაც გაბიანი... დილის ტელეეთერებში მოქაქანე „ქალების კლუბებზე“ აღარაფერს ვიტყვი — არ ღირს. ან რა უნდა ითქვას იმათზე, ვისაც ერთმანეთის მოსმენაც კი არ შეუძლიათ, ტელემაყურებლები აშკარად არ აინტერესებთ, ხოლო ბრიყვული ყაყანი გულწრფელ, საინტერესო და ინტიმურ საუბრად ესახებათ. საერთოდ, დავანებოთ თავი კონკრეტულ პიროვნებებს — ისიც დიდი პატივია მათთვის, რომ ზოგიერთი ვახსენე...

ფუნდამენტურ გამოკვლევას პროფესიონალი ფსიქოლოგი და სოციოლოგი ესაჭიროება, თანაც უფრო დიდი სტატისტიკური და დაწვრილებითი ფაქტობრივი მასალის მოზიდვით. ამიტომ, ამ საშიში ტენდენციის ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლოთ.

რატომაა დღეს საშიში ეს მოვლენა? როგორც უკვე ვთქვი, ადრე „სიყმაწვილის სენი“, გარდამალი ასაკის მოსალოდნელ და დროში ერთგვარად შეზღუდულ ადამიანის განვითარების ფაზად გვევლინებოდა. მხოლოდ შედარებით მცირერიცხოვან, უკულტურო და (რაც უფრო მნიშვნელოვანიაძ გენეტიკურად უჭკუო ინდივიდთა, ჯგუფებში, ის მათი ცხოვრების ბოლომდე გრძელდებოდა. თბილისელებზე ეს საზოგადოებრივი „ხარვეზი“ მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენდა. დღეს სულ სხვა სიტუაციაა.

ამ სტატიისკენ თბილისელი ინტელიგენტების რეაქციამ მიბიძგა. ყველას გამონათქვამი რომ არ მოვიყვანო, ვეცდები ერთ ტირადაში მოვაქციო თბილისის საზოგადოების გაკვირვებაც, აღშფოთებაც, შიშიც და ირონიაც: „ამ ტელეგადაცემებში სულ ერთ და იგივე სახეებს ვხედავთ! თვითონ, ნეტავ, არ ბეზრდებათ? ალბათ არ ბეზრდებათ — ერთი ჭკუისა არიან — ერთი „კულტურული“ ჭრილია და იმიტომ... განათლება და კარგი მანერები არ გააჩნიათ — თუმცა, რა მაგათი ბრალია?.. ის არის საშიში და ცუდი, რომ მასპინძლებიც და სტუმრებიც, მათი გაგებით ერთი კამპანიაა — „რჩეულთა საზოგადოებაა“, „სვეტები“, „საზოგადოების ნაღები“. ეგ არაფერი, ჩვენ რომ ვლიზიანდებით — ეს არც ისე მნიშვნელოვანი კულტურულ-სოციალური შეუთავსებლობაა — ჩვენ დიდი ხანია, ამისგან „აცრილები“ ვართ... ახალგაზრდობას, ჩვენ ბავშვებს რა ვუყოთ?! ჰო, ჰო — ეს დიდი პრობლემაა... 13-18 წელი ისეთი ასაკია, მშობლების ავტორიტეტს ებრძვი, რათა საკუთარი „მე“ დანავითარო, ალზარდო... ამ გარდამავალი ასაკის პერიოდში ადვილია, მიმზიდველია, გარეთ ნანახის და მოსმენილის მოშველიება... არა. არა — რაღაც განათლება აქვთ, თავისებური „გემოვნებაც“, არც უჭკუობას დააბრალებ — დონე, დონეა დაბალი — საშინლად დაბალი, სასირცხვილოდ დაბალი...“. აქ შეგვიძლია შევჩერდეთ — საკმარისია... ჩვენ კარგად გვახსოვს, როგორ გვაშინებდა ნარკომანია და კრიმინალური სამყარო — შვილებზე და შვილიშვილებზე შიშის და განცდის მიზეზი მუდამ იყო და იქნება. თბილისის საზოგადოებისთვის დღევანდელი პრობლემა ახალ საშიშროებაშია: **ზრდასრული, ჩამოყალიბებული ადამიანების ვულგარობამ, მდარე გემოვნებამ, გაუნათლებლობამ და ჩვეულებრივმა, სადა, „ხელუხლებელმა“ უჭკუობამ ტელეეკრანებზე გადაინაცვლა და ახალგაზრდობისათვის მისაბაძ მაგალითად — ეტალონად იქცა!**

სანამ ამ სტატიის წერას შევუდგებოდი, ახალი „ელიტისთვის“ უკვე ცნობილი იყო მისდამი ჩემი დამოკიდებულება. ერთმა მათგანმა თავი ვერ შეიკავა და მითხრა: „იცი რააა? ჩვენ — ელიტას, ანუ ინტლიგენციას ტყვილა აკრიტიკებ... შეიგნე რააა — ჩამორჩენილები ხართ“. გამეცინა, სიტყვა შევაწყვეტინე: „როგორ ბრძანეთ — ინტლიგენცია?“. „დიახ, დიახ — ინტლიგენცია, ელიტარული ინტლიგენცია, ანუ საზოგადოება!“ — ქედმაღლური წარბაწევით მომიგო მან. აქ უკვე სიცილი ვერ შევიკავე: „გამოდის, რომ ინტლიგენცია წარმოიშვა სიტყვა ტლინკისაგან — გადასარევია!“. მან არაფერი მიპასუხა, ცხენივით დაიფრუტუნა და ამაყად გამშორდა.

რატომ ვახსენე მხოლოდ ქალები, ხოლო მამაკაცებს „შეღავათი“ გავუწიე? ხომ შეიძლებოდა კალატოზიშვილის, მოროშკინას, გრიგოლიას, ბეგაშვილის, ჩერგოლეიშვილის და გაბიანის მიყოლებით მამაკაცებიც მეხსენებინა, რომელთა რაოდენობა ინტლიგენტ ქალებზე არანაკლებია? აი, ერთი მამაკაცის მაგალითი, რომელიც მშვენივრად ასახავს „გოიმობას“, მის ბუნებას. „გოიმობა“ ადვილი ამოსაცნობია: ის თვითდაკვირვების, თავის თავში დაეჭვების, თვითკრიტრიკის უნარს მოკლებულია. პირიქით — მასში „ჩქეფს და გადმოდუღს“ თვითდაჯერებულობა. ამ თვისების სიძლიერე ანადგურებს ყოველგვარ დარიგებას, მითითებას, რჩევას... როგორ უნდა აუხსნა ადამიანს, რომ დღეს „რედისონში“ შვილის ნათლობის აღნიშვნა, თითქმის ასი ათასდოლარიანი სუფრის გაშლით, „გოიმობაა“?! როგორ უნდა მიახვედრო, რომ ეს ცუდი ტონია, უხერხულია — სირცხვილია?! ან როგორ უნდა შეაგნებინო ტელევიზიის რედაქტორს, გადაცემის ხელმძღვანელობას, რომ ცნობილი თამადის რეკლამირება უადგილოა — „გოიმობაა“ ხოტბა შეასხა ადამიანს, რომელიც ჭალიდან, ხორცის საკეპი მანქანიდან, ტაშტიდან ბეჰემოთივით სვამს ღვინოს.

გულდამამძიმებელი გაუნათლებლობა, სულელური ამპარტავნობა, „ფსევდო ელიტურობით“ ვულგარული კეკლუცობა, სამწუხაროდ, ქალებში უფრო მკაფიოდ, თვალისმომჭრელად მჟღავნდება. ძველყაიდურად „სვეტობა“, „გასვეტება“ და „გოიმობა“ ვახსენე — დღეს აგრესიული გოიმობის „ზეიმთან“ გვაქვს საქმე და **ეს დაუმთავრებელი ბავშვობის სენი, ახალგაზრდა თაობისთვის, სულიერების დამაკნინებელ, საშიშ ეპიდემიაში გადაიზარდა.** ერთია, როდესაც რაღაც საზოგადოებრივი მანკიერება მჟღავნდება; მეორეა, როდესაც გასაგები ხდება რამდენად საზიანოა ეს მოვლენა და მესამეა, როდესაც მიგნებული იქნება ამ მანკიერების საწინააღმდეგო „წამალი“.

**რამდენად მომწამვლელია ახალგაზრდობისთვის ეს სულიერების დამაკნინებელი ეპიდემია?**

პირველ რიგში, „მოქმედ პირთა ასაკი“, რომელიც, უარყოფითი ეტალონის ნიშნით, მეტად ეფექტიანად მოქმედებს. მოზარდის თვალში ამ ჩამოყალიბებულ, „წარმატებულ ადამიანთა“ კატეგორიამ კარგად იცის, თუ რა არის ნამდვილი ცხოვრება. მოზარდისთვის კი უფროსების წარმატება, საზოგადოებაში გამორჩეულად გამოჩენა უმთავრესი და წასაბაძი მაგალითია. ამავე დროს, მას ასეთი ქცევა-არსებობის მოდელი „მიანიშნეს“, რომ ეს ყველაფერი არც ისე ძნელია — საკმარისია „რჩეულთ“ მიბაძო: იყო ვულგარული; თავხედი; მედიდური; ჩვევად სხვისთვის სიტყვის გაწყვეტა გახასიათებდეს; არ მიაქციო ყურადღება, თუ ვინმე ჭკუანაკლულად ჩაგთვლის; მარტო შენს თავს და შენნაირებს უწევდე ანგარიშს. აი, განათლება, დახვეწილი გემოვნება, ინტელიგენტური მორიდებულობა კი ასეთ მოდელში სულაც არ არსებობს. საერთოდ, პრიმიტიული სქემა ყოველთვის მიმზიდველია მისი სიმარტივით და მიღწევის სიიოლით.

რა შეიძლება წინ აღუდგეს ამ მოვლენას? საზოგადოების მიერ „გოიმობის“ დაუნდობელი, კრიტიკული შეფასება. მეორე კითხვაა — რა ხერხით? საკმაოდ ადვილად. იმის გათვალისწინებით, რომ საქმე გვაქვს ახალგაზრდა თაობასთან, საზოგადოების რეაქცია უნდა იყოს მიმართული არა პირდაპირ „ეპიდემიის გამავრცელებლებისკენ“, არამედ ახალგაზრდობისკენ — მის გასაგონად. „გოიმობის“ მხილება მხოლოდ ახალგაზრდობაზე უშუალო ზეგავლენას უნდა ემსახურებოდეს. „გოიმობის“ მწვავე დაცინვაში, ირონიაში, სარკაზმში ახალგაზრდობამ „ანტი ეტალონის“ დანახვა უნდა შესძლოს. გამანადგურებელი დაცინვა სწორედ ის იარაღია, რომელიც მოზარდზე მაქსიმალური ეფექტიანობით მოქმედებს. რაც შეეხება ფსევდოელიტაში „მცურავ“ მედიდურ, ვულგარულ, თავხედ, ამპარტავან, ბავშვობაში ჩარჩენილ „რჩეულებს“ — ისინი ასეთნი დარჩებიან სიბერემდე... ჩვენი მიზანია ეპიდემიის გავრცელება შევაჩეროთ, ვინაიდან ეს არსებები როგორც ვირუსები მრავლდებიან და მათი გამრავლების შეჩერება ისეთივე სიძნელეს წარმოადგენს, როგორც ნამდვილი ვირუსული ეპიდემიის გავრცელების დროს.

**მალხაზ ჟვანია**

## ინფორმაცია

### „თბილისის ომის“ დამთავრებიდან 20 წელი გავიდა

**გუშინ, 6 დეკემბერს, „თბილისის ომის“ დამთავრებიდან 20 წელი გავიდა. ზვიად გამსახურდიასა და ოპოზიციის მომხრეთა შორის მიმდინარე შეიარაღებული დაპირისპირება 1992 წლის 6 იანვარს პრეზიდენტ გამსახურდიას და მის მომხრეთა განდევნით დასრულდა, რასაც სამოქალაქო ომი მოჰყვა.**

**რუსთაველის გამზირზე ქვეყნის პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიასა და ოპოზიციის მომხრეთა შორის შეიარაღებული შეტაკება 1991 წლის 22 დეკემბერს დილის 8-ის ნახევრიდან დაიწყო. თბილისის ომმა, რომელიც 15 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, არაოფიციალური მონაცემებით, 100-ზე მეტი ადამიანი შეიწირა. საარტილერიო სროლების შედეგად დაინგრა და გადაიწვა ქალაქის ცენტრში მდებარე შენობები: პარლამენტის შენობა, თბილისის კლასიკური გიმნაზიის შენობა, სასტუმრო „თბილისი“, მხატვრის სახლი და სხვა ნაგებობები.**

**ექსპრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეები მიიჩნევენ, რომ შეიარაღებული დაპირისპირება ეროვნული გვარდიის ოპოზიციურად განწყობილი ნაწილის მიერ იყო პროვოცირებული. მას შემდეგ, რაც გამსახურდიამ საქართველო დატოვა, ქვეყნის მართვა საკუთარ თავზე აიღო სამხედრო საბჭომ, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ ექსპრემიერმინისტრი თენგიზ სიგუა, ექსთავდაცვის მინისტრი თენგიზ კიტოვანი და შეიარაღებულ ფორმირება „მხედრიონის“ მეთაური ჯაბა იოსელიანი.**

**გამარჯვებულთა ტრიუმვირატმა სსრკ-ის ექსსაგარეო საქმეთა მინისტრი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც იმჟამად მოსკოვში ცხოვრობდა, მიიჩნია ფიგურად, რომელსაც ქვეყანაში სამოქალაქო მშვიდობის დამყარება შეეძლო. მათ 1992 წლის 7 მარტს შევარდნაძე საქართველოში ჩამოიყვანეს და 10 მარტს სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს**

**ინტერპრესი**



# საქართველო ჩვენვე უნდა ვმართოთ და გადავარჩინოთ

ის ძალები, რომლებთაც ეს გარდაქმნები უნდა მოეხდინათ, პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებით იყვნენ დაკავებულნი. მათ მოქმედებაში იყო ლოგიკა. საბჭოთა კავშირის მთელი ისტორია ადასტურებდა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება უმთავრესია, ხოლო ეკონომიკური რეფორმები შეიძლება მას მოჰყოლოდა. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ თავად მრავალეროვნული და მრავალკონფესიური საბჭოთა კავშირი, მისი წინამორბედის მსგავსად, პრობლემური პოლიტიკური წარმონაქმნი იყო. დარწმუნებული იყვნენ, რომ ეს ფაქტორი ვერ შეუშლიდა ხელს გარდაქმნას. მით უმეტეს, ვერაფერით წარმოედგინათ ამ ზესახელმწიფოს ასეთი მომენტალური კოლაფსი.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კომპარტია უაღრესად კონსერვატიული და არარეფორმირებადი პოლიტიკური ინსტიტუტი გამოდგა. მისი რეფორმირება გორბაჩოვ-იაკოვლევის ტანდემს ძალიან გაუჭირდა. ერთადერთი ადამიანი, რომელიც პარტიულ აპარატში გორბაჩოვზე მარცხნივ (საბჭოთა გაგებით) იდგა, იყო ბორის ელცინი. ალბათ, ამიტომ იყო, რომ გორბაჩოვი ვერაფერით შეელია მას.

რაღაც მომენტში გორბაჩოვი მიხვდა, რომ საჭიროა კომპარტიისაგან დისტანცირება. სხვანაირად ყოველგვარი რეფორმა განწირულია. ეს კი გულისხმობდა პოლიტიკური ძალაუფლების ალტერნატიულ წყაროს გაჩენას. სწორედ ასეთ ინსტიტუტად იქნა მოაზრებული დეპუტატთა ყრილობა. ლოგიკური, რომ ახალი ელიტის აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ ორგანოში აღმოჩნდა. რეფორმის ადგილზე ასამუშავებლად კი საჭირო შეიქნა კომპარტიისაგან არაპარტიული ინსტიტუტების გაჩენა (სხვადასხვა არაფორმალური საზოგადოებები, სახალხო ფრონტები და სხვ.ძ.

ამ ნაბიჯმა საკმაოდ მნიშვნელოვანი შედეგები გამოიწვია. გაჩნდა ავტორიტეტული ხალხისუფლო ორგანო, სადაც თავი მოიყარა ახალი ყალიბის პოლიტიკურმა ელიტამ. თანაც, ამგვარი ალტერნატიული და პოპულარული სახელმწიფო ინსტიტუტის გაჩენამ აიძულა კომპარტია გარკვეულ დათმობებზე წასულიყო (მე-19 პარტკონფერენციის შემდეგძ. ცხადია დეპუტატებს შორის ძალიან ბევრი კონსერვატორი მოხვდა, მაგრამ ისინი ამინდს ვერ ქმნიდნენ.

სწორედ დეპუტატთა ყრილობაზე მოეხდა პოლიტიკური გადატრიალება საბჭოთა კავშირში. იმავეს ელოდნენ დეპუტატთა ყრილობიდან ავტონომიური რესპუბლიკათა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოებიც. სწორედ რეფორმების წარმატება უნდა უზრუნველეყოთ უმაღლეს საბჭოთა ადგილებზე. თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო. არსებობდა შესაბამისი სტრუქტურები (მექანიზმებიძ ამ სახელისუფლო სტრუქტურებში შესაღწევის კანდიდატთა მოსახვედრად (ზემოხსენებული არაფორმალური გაერთიანებები, შემოქმედებითი კავშირები და სხვ.ძ. მაგრამ თავი წამოყვეს ცენტრიდანულმა ტენდენციებმა.

## ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება

საქმე ის იყო, რომ გორბაჩოვის რეფორმა, ავტორთა მტკიცებით მიუხედავად, საფრთხეს უქმნიდა საბჭოთა კავშირის მთლიანობას. დეზინტეგრაციის პრობლემა რუსეთისათვის არახალია, ძველია. რუსეთის იმპერია, ავსტრიისა და ოსმალეთის იმპერიების მსგავსად, შეიქმნა როგორც კონტინენტური იმპერია, სადაც არ არის დაყოფა მეტროპოლიად და კოლონიად, და ამდენად, მთელი ტერიტორია მოქცეულია ერთ სამართლებრივ სივრცეში. ასეთ პირობებში კი, მეტად ძნელია, შეუძლებელიც კი, სხვადასხვა კულტურისა და ისტორიის მქონე ერების (განსაკუთრებით, დიდი კულტურისა და სახელოვანი ისტორიისძ ერთ ყაიდაზე მოქცევა, მათი უნიფიკაცია. ამიტომაც დაიშალა ავსტრო-უნგრეთი, ოსმალეთი და მას მიჰყვა რუსეთის იმპერია. მოგვიანებით ვერც ზღვისგადაღმა იმპერიები გადარჩნენ.

რუსეთის იმპერია შემდეგ მკვიდრეთი აღდგინა საბჭოთა ზესახელმწიფოს სახით. მაგრამ იმის გამო, რომ ბრესტის ზავით დაკარგული ტერიტორიები, რომლებსაც გერმანიამ დამოუკიდებლობა მიანიჭა, მოსკოვმა დამოუკიდებლობის ფორმალური შენარჩუნებით დაიბრუნა - სახელმწიფო შეიქმნა, როგორც რესპუბლიკათა კავშირი. ამის გარდა, ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ, სხვა ერებსა და ეთნოსებს რომ არ სწყენოდათ, შექმნა სხვადასხვა რანგის ეთნოტერიტორიული წარმონაქმნები (ავტონომიური რესპუბლიკა, ავტონომიური ოლქი, ნაციონალური ოკრუგიძ. სწორედ ასეთი სახით იარსება ტოტალიტარულმა საბჭოთა კავშირმა 70 წელი, სადაც ინტეგრაციას კომუნისტური პარტია და მისი იდეოლოგია (კომუნისტური ინტერნაციონალიზმიძ, აგრეთვე არნახული ძალისა და სისასტიკის პოლიციური ინსტიტუტი უზრუნველყოფდა

კომპარტიის „ჩამოლაზორანტებისა“ და რეპრესიული ინსტიტუტის შესუსტების შემდეგ საფრთხე დაემუქრა საბჭოთა კავშირის არსებობას. დეზინტეგრაციის თავიდან აცილების მიზნით კრემლში აიტაცეს სახაროვისა და გეფტერის კონსტიტუციური ცვლილების პროექტი (დამუშავების შემდეგ დაერქვა „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება“ძ, რაც ითვალისწინებდა საბჭოთა კავშირის ყველა ავტონომიური წარმონაქმნის (აგრეთვე, კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფებისძ სტატუსთა გატოლებას და ამ გზით მოკავშირე რესპუბლიკებისთვის კავშირიდან გასვლის სამართლებრივი საშუალების მოსპობას (ბალტიის რესპუბლიკების გასვლას კრემლში შინაგანად შეგუებულნი იყვნენ, რაც დაადასტურა გორბაჩოვმა 1991 წლის 25 მარტს ჟურნალ „შპიგელისათვის“ მიცემულ ინტერვიუშიძ.



მოკავშირე რესპუბლიკათა „დასაბმელად“ შემუშავებულმა ამ პროექტმა აამოძრავა ავტონომიათა ხელმძღვანელები. შეიქმნა ყარაბაღის პრობლემა, ლიხნის წერილი, დაძაბულობები ცხინვალში, ფერგანაში და ა.შ. კრემლს პრობლემათა ეს თაიგული ნაკლებ სახიფათოდ მიაჩნდა – მთავარი იყო, რომ კავშირიდან გასვლის უფლების მქონე მოკავშირე რესპუბლიკები გაეჩერებინა. 1989 წლის სექტემბრის კომპარტიის პლენუმზე გამოცხადდა, რომ დაიწყო ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისათვის სამართლებრივი საფუძვლის შექმნა (პროექტის დასაბუთება გამოქვეყნდა 1989 წელს, ხოლო ტექსტი 1990 წელსძ. 1990 წლის 3 აპრილს გამოიცა კანონი „მოკავშირე რესპუბლიკის კავშირიდან გასვლის წესის შესახებ“, ხოლო 1990 წლის 26 აპრილს, კანონი „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნის შესახებ“.

აღნიშნული კანონების შესაბამისად, განახლებული საბჭოთა კავშირის სუბიექტებად გვევლინებოდნენ არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკები, არამედ ავტონომიური რესპუბლიკებიც. გარდა ამისა, ხაზგასმული იყო, რომ ავტონომიური წარმონაქმნების არსებობა ამა თუ იმ რესპუბლიკაში ხდებოდა ხალხის თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგად. კანონში ახალი ეთნოწარმონაქმნის - კომპაქტურად დასახლებული ეთნოჯგუფის – გაჩენა ნიშნავდა, რომ ასეთ კომპაქტურ ჯგუფს (მაგ. ჯავახეთის სომხებს და ბორჩალოს აზერბაიჯანელებსძ შესაძლებლობა ექნებოდათ, თავისუფალი ნების გამოხატვის შედეგად, არათუ ავტონომიური ტერიტორია შეექმნა, არამედ აერჩია კიდეც, თუ რომელ რესპუბლიკაში შესულიყო (გასაგებია, რომ „სამხრეთ ოსეთი“ შეუერთდებოდა რუსეთის ფედერაციას, ანუ გაერთიანდებოდა ჩრდილოეთ ოსეთთან. პრობლემები გაჩნდებოდა ქვეყნის სამხრეთშიცძ.

სწორედ 1989 წლის სექტემბრის პლენუმის მასალებმა და აღნიშნულმა კანონებმა გამოიწვია ე.წ. „სამხრეთ ოსეთის“ პრობლემის უკიდურესი გამწვავება. ცხინვალის ხელისუფლება ცდილობდა ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამდე მოესწრო სტატუსის ამაღლება, რათა მომავალი ფედერაციის სუბიექტი გამხდარიყო. აფხაზეთის ხელმძღვანელობა თავს შედარებით მშვიდად გრძნობდა, რადგან როგორც ავტონომიურ რესპუბლიკას, ამის უფლება ავტომატურად ექნებოდა.

გორბაჩოვისეული გარდაქმნის დამაგვირგვინებელი აკორდი იყო 1990 წლის 27 დეკემბრის საბჭოთა კავშირის დეპუტატთა ყრილობის დადგენილება, ჩაეტარებინა საკავშირო რეფერენდუმი „ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების“ თაობაზე 1991 წლის 17 მარტს.

ამრიგად, საქართველოს გაუჩნდა „ბრწყინვალე“ პერსპექტივა - საბჭოთა კავშირშივე დაშლილიყო მარტივ მამრავლებად (რაც დაადასტურა გიორგი არბატოვმა 1989 წელს მიხეილ სააკაშვილისათვის მიცემულ ინტერვიუშიძ. გამოსავალი არ იყო. დამოუკიდებლობა უნდა გამოგვეცხადებინა. მაგრამ როგორ? გზა მხოლოდ ერთი იყო, ჭეშმარიტად ზეამოცანა – ეროვნული მოძრაობა არჩევნების გზით მოსულიყო ხელისუფლებაში საერთო საკავშირო რეფერენდუმის ჩატარებამდე და გამოეცხადებინა ქვეყნის დამოუკიდებლობა.

## ქათმის სიბრმავე

საოცარია, მაგრამ იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის აბსოლუტურად შეუმჩნეველი დარჩა საქართველოს წინაშე აღმოცენებული უდიდესი საფრთხე. მეტიც, მავანნი დღესაც ვერ იჯერებენ, რომ ქვეყანას დიდი განსაცდელი ელოდა (ბევრად უფრო დიდი და კატასტროფული, ვიდრე რეალურად იწვნიაძ, და მასზე ადეკვატური პასუხის გაცემა იყო საჭირო. პირიქით, თვლიან, რომ რაც გადაგვხდა თავს და, რაც, ალბათ, კიდევ გველის, სწორედ იმდროინდელი აჩქარების გამო დაგვემართა.

ჩვენი ელიტის (მაშინდელი ტერმინოლოგიით, „პარტიულ-სამეურნეო აქტივი“ძ „ქათმის სიბრმავეს“ ჰქონდა ობიექტური მიზეზი, რაზედაც ღირს შეჩერება.

გვიანსაბჭოური ელიტის არსებობა ეფუძნებოდა სახელმწიფო ბიუჯეტის „ათვისებას“, რაც კორუფციის ძირითად სახეს წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში. ულევი რესურსები ხომ ამის ფართო შესაძლებლობას იძლეოდა (თუმცა, ეს რესურსები ულევი რომ არ იყო, მალე გამოჩნდაძ. ბიუჯეტზე პარაზიტირებას განსაკუთრებით ეფექტურად საქართველოში ახერხებდნენ. ფართო და მრავალფეროვანი კორუფციის წყალობით ჩვენმა რესპუბლიკამ კეთილდღეობის მაღალ დონეს მიაღწია, რაც მას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან გამოარჩევდა. ოღონდ ესაა, მუქთა ცხოვრების მანკიერებამ მოგვიანებით იჩინა თავი.

საბჭოურ ელიტას სრული ბედნიერებისათვის მხოლოდ ორი რამ აკლდა - კერძო საკუთრების დაკანონება და უცხოეთში თავისუფალი მიმოსვლა - და აჰა, „პერესტროიკამ“ ამის რეალური პერსპექტივაც გააჩინა. ეს კი ბევრად უფრო მომხიბვლელი გამოდგა კომუნიზმის ნათელ მომავალზე. მოტივირებული კომუნისტური ელიტა თავგამოდებით შეუდგა ახალი ამოცანების გადაჭრას.

ქვეყნის მართვა-გამგეობაში მონაწილეობისა და დასავლური სტანდარტებით ცხოვრების პერსპექტივა იმდენად ძლიერი სტიმული იყო, რომ ახალი ელიტა (ახალგაწვეული ინტელექტუალები სამეცნიერო-ტექნიკური და ჰუმანიტარული სფეროებიდანძ გორბაჩოვის რეფორმის უპირობო მხარდამჭერად იქცა. ასეთი განწყობით მას არ შეეძლო და ვერც შეძლებდა დაენახა რეფორმისაგან მომდინარე საფრთხე. 9 აპრილის მაგალითი საკმარისი არგუმენტი არ გამოდგა. ჩვენი ელიტა ნამდვილად არ იყო პესიმისტური სცენარის აღქმისათვის განწყობილი.

ვერც ეროვნული მოძრაობის უმეტესობა აღმოჩნდა მზად შეცვლილ სიტუაციაზე რეაგირებისთვის. 9 აპრილის შემდეგ ეროვნულმა მოძრაობამ გამოიმუშავა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ეროვნული მოძრაობა არ მიიღებდა მონაწილეობას საბჭოურ არჩევნებში, სამაგიეროდ მძლავრ ზემოქმედებას მოახდენდა გარედან ხელისუფლებაზე, მისი გადემოკრატიულობის მიზნით (ამგვარი ზემოქმედების წარმატებული მაგალითი იყო საარჩევნო გარემოს შეცვლა 1990 წელსძ.

შემუშავებული სტრატეგიის შესაბამისად ეროვნული ძალების ფორუმმა 1990 წლის გაზაფხულზე დაადგინა, რომ არჩევნების გზით შექმნილიყო არასაპარლამენტო ლეგიტიმური ორგანო – ეროვნული კონგრესი – რომელიც თანდათანობით, ოფიციალური ორგანოების დისკრედიტაციის პარალელურად, გადაიბარებდა ხელისუფლებას და გამოაცხადებდა დამოუკიდებლობას.

იმდროინდელი ქართული საზოგადოება არ მოელოდა მოვლენების თავბრუდამხვევი სისწრაფით განვითარებას და ზესახელმწიფოს მომენტალურ დაშლას. ვიმეორებთ, ამას აბსოლუტურად არავინ მოელოდა. ის, რომ საბჭოთა კავშირი ხელოვნური წარმონაქმნი იყო და ნებისმიერი „გაადამიანურება“ მას ბოლოს მოუღებდა, ეს თითქოს ცხადი უნდა ყოფილიყო. თუმცა მოელოდნენ, რომ პროცესი „პერესტროიკიდან“ კოლაფსამდე რამოდენიმე წლით მაინც გაიწელებოდა. ამიტომაც ფრიად პოპულარული იყო დევიზი: „ჯერ დემოკრატია, მერე დამოუკიდებლობა“.

ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების პროექტის გამოქვეყნებისა და მისი სარეფერენდუმოდ გატანის გადაწყვეტილების შემდეგ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა. საქართველო ცაიტნოტში აღმოჩნდა. მას საბჭოთა კავშირის სამართლებრივი სივრციდან გასვლის, ანუ დამოუკიდებლობის გამოცხადების გარდა სხვა არჩევანი აღარ რჩებოდა. შეტრიალდა პარადიგმაც. ამჯერად აქტუალური გახდა „ჯერ დამოუკიდებლობა, მერე დემოკრატია“.

ასეთ ვითარებაში ჩვენი პოლიტიკური ელიტა და ეროვნული მოძრაობის უმეტესობა სრულიად არაადეკვატური აღმოჩნდა - ვერ შეაფასა რა პოლიტიკური მომენტი, ჯიუტად გააგრძელა ერთხელ არჩეული კურსით სვლა, რითაც სამომავლოდ თავი თამაშგარე მდგომარეობაში ჩაიყენა. შესაბამისად, გამსახურდიასა და მისი მომხრეების გასვლა ფორუმიდან და არჩევნებში მონაწილეობის მიღება ერთმნიშვნელოვნად შეაფასა როგორც ეროვნული ღალატი და ავანტიურა.

საბჭოთა კავშირის დაშლა რეალობად აქცია 1991 წლის აგვისტოს პუტჩის ჩაფლავებამ. მხოლოდ ამის შემდეგ ამოძრავდნენ თამაშგარეთ დარჩენილები, რამაც დამატებითი განსაცდელი მოუტანა ქვეყანას.

**გურამ სანადირაძე,**
**ნიკოლოზ სანებლიძე**

(დასასრული იქნება)



**ამ განსვენებული, ცნობილი ქართველი მწერალი მერაბ ელიოზიშვილი დაიბადა 1934 წლის 18 დეკემბერს ქალაქ ცხინვალში. 1952 წელს დაამთავრა ცხინვალის საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. ცხინვალში მიღებული არასრული მუსიკალური განათლება უნივერსიტეტის სიმფონიურ ორკესტრში გამოიყენა, უკრავდა ვიოლინოზე.**

**ლიტერატურული მოღვაწეობა დაიწყო 1958 წელს, როდესაც ჟურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა პირველი 3 მოთხრობა. მას შემდეგ არც ლიტერატურისთვის, არც ამ ჟურნალისთვის აღარ უღალატია. გამოცემული აქვს მოთხრობების რამდენიმე კრებული. მერაბ ელიოზიშვილის კალამს ეკუთვნის აგრეთვე პიესები („სარკე“, „დათვები“, „ბერიკონი“ და სხვ.) და კინოსცენარები, რომელთა მიხედვითაც დაიდგა პოპულარული მხატვრული ფილმები: „თეთრი ქარავანი“, „დიდი მწვანე ველი“, „დიდედები და შვილიშვილები“, „ბებერი მეზურნეები“, „დაბრუნება“, პირველი მოთხრობა — „ბებერი მეზურნეები“ პიესადაც გადააკეთა.**

**მერაბ ელიოზიშვილს ქართველი საზოგადოება იცნობს აგრეთვე როგორც მსახიობს, გადაღებულია ფილმებში: „თეთრი ქარავანი“, „გაგიმარჯოს, მეზობელო!“ („ზღვარი“), „შერეკილები“, „ქვიშანი დარჩებიან“, „დაბრუნება“.**

**ქვემოთ მკითხველს ვთავაზობთ მწერლის ერთ-ერთ პირველ მოთხრობას, რომელმაც მას დიდი აღიარება მოუტანა.**

## მერაბ ელიოზიშვილი

# ბებერი მეზურნეები

ერთიმეორეში თუღა შეიკრიბებოდნენ ძველი გორელი დამკვრელები: მედოლე თედო, მეზურნე ბუთხუზა და მეგარმონე სოსა, თორემ ისე ვიღას ახსოვდა ისინი სადღეობოდ ან საქორწილოდ.

ხალხშიაც ისე ხშირად აღარ ახსენებდნენ მცხეთიჯვრობას, სამებობასა, გერისთობასა. გლეხიკაცი უფრო შინ დღესასწაულობდა, ოჯახში ლამის ყველას თავ-თავისი საკრავები ჰქონდა და ნაკლებადღა ჰკითხულობდნენ კარგ მეზურნეებსაც კი. შვიდ ნოემბერს ან პირველმაისობას თუ მოიკითხავდნენ ხოლმე სხვა დღეობებთან შედარებით მეტ დამკვრელებს, მაგრამ ჩვენს მეგარმონე სოსასა, მედოლე თედოსა და მეზურნე ბუთხუზას ამ დროსაც არავინ მოიგონებდა.

ისე რომ გეკითხათ კია, ან ერთი გეტყოდათ: იმ კვირას ქორწილში ვართ წასასვლელები, ბე უკვე მოცემული აქვთო, ან მეორე — წინა კვირას ვიყავით დაბარებულები, მაგრამ ფული გვეცოტავა და უარი შევუთვალეთო. კიდევ რომ გეკითხათ, კიდევ გეტყოდნენ რამეს და ისე გამოიყვანდნენ, თითქოს მარტო გორის რაიონში კი არა, ლამის მთელ ქართლშიაც ისე ლხინი და ქორწილი არ გაიმართებოდა, რომ ისინი იქ არ დაეპატიჟათ და ბე არ შეეძლიათ.

ეჰ, გულგაუტეხელები იყვნენ, თორემა! — თორემა ბუთხუზას რაღა ბუთხუზა დაეძახებოდა. სადღა ჰქონდა კვერცხწასმული ნაზუქივით დაბრაწულ-დატიკნილი ლოყები. ლოყების მაგივრად ახლა გაცრეცილი ცარიელი ქისებიღა ჩამოჰკონწიალებოდა და ეს ქისებიც სანახევროდ მაშინაც კი ვეღარ ებერებოდა, როცა ძველი საბერველივით დაქიაქებული ბუთხუზას ფილტვები მთელი მონდომებით აქშუტუნდებოდა ხოლმე.

აღარც მედოლე თედოს ეთქმოდა მეზურნეზე ბევრად უკეთესობა. ძველისძველი დოლი ერთი ოთხვან მაინც ჰქონდა გაბზარული და სანთელწასმული. თითები ჯანდაბას, თითების მაგივრად დოლის ჯოხებს უფრო ხმარობენ მედოლეები, მაგრამ იმ ოხერა ქარებს ისე შეეკარ-შეებორკათ თედოს გამომშრალი სახსრები, რომ აწევ-დაწევაზე სათონე ფიჩხივით გაჰქონდათ ლაწალუწი.

მეგარმონე სოსა კიდევ ივარგებდა რამეთა, მაგრამ გარმონი ლამის თავისავე ხნისა ჰქონდა. საკერებელზე კიდევ საკერებელი ედო და კოწიწზე კიდევ კოწიწი. რკინეულობის ნაწილებიც ისე ჰქონდა დაკოწიწებულ-დამუწუკებული, თითქოს ეს-ეს არის „ბატონები“ იხადა სოსას გარმონმაო.

სამივენი ტანმორჩილები იყვნენ. სამთავეს ძველებური, გახუნებული „კარტუზები“ ეხურათ, მაზუაანთ კაკას ნაკერი ცხვირამოკრული ჩუსტები ეცვათ და ალაგ-ალაგ საკაზმავარდნილი წვრილი ქამრები ჰქონდათ შემოჭერილი ფერდაკარგულ სატინის ხალათებზე...

ერთიმეორის კარის მეზობლები იყვნენ ძველ უბანში. დილით პირველი ბუთხუზა გამოიტანდა ხოლმე თავის გასიპულ სამფეხასა, ბუთხუზას დანარჩენებიც ამოუსხდებოდნენ აქეთ-იქიდან. მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე ითბობდნენ ბებერ, დაქარიანებულ ძვლებსა, ძველის მოგონებაში ჩაფლულები. ცოტა ხნის შემდეგ იმათი მეორე ნახევრებიც გამოხუსხუსდებოდნენ, თითო-თითო თაბახ მწვანილს წინ დაიდგამდნენ და მუშტრის მოლოდინში თავ-თავიანთი კაცების მასლაათს უგდებდნენ ყურსა. შებინდებისას ისევ აკრეფდნენ მთელი დღის მზით ოდნავ გამთბარ ძვლებსა, შეჭამანდის ნარჩენს მიირთმევდნენ, ზედ თითო პიტნის ჩაისაც დააყოლებდნენ — მარგებელიაო, და მერე კი მძინარეანთ მიაკითხავდნენ. დალოცვილი რამაა ძილი სიბერეში...

თვეში ოთხჯერ კვირადღეობით, ძველი მეთევზე ძმაბიჭი — გოლა ამოაკითხავდათ ხოლმე. მანეულზე ასხმულ მურწასა და ღვატას ამოიტანდა, ერთ ჩარექა საია არაყსაც ამოაცოცებდა საიდანღაც.

თითო ჭიქის შემდეგ, როცა დანასკვული ძარღვები აქა-იქ მაინც გაეხსნებოდათ და შემთბარი სისხლი საფეთქლებში შეუღიტინებდა, საიდანღაც გაჩნდებოდა დაკოწიწებული გარმონი, ხანებზე სანთელწასმული ძველი დოლი, ყამიშმოცვეთილი ზურნა და თვალზე ცრემლმომდგარი გოლა „ტანინანი-ტინინანის“ ძახილით, სკამიდან წამოუდგომლად, სასროლი ბადის თრევით დაგრძელებული მკლავების ფართხუნსა და კანწიკუნწს მოჰყვებოდა.

საცოდავად იბერებოდა ბუთხუზას ჩამოგრძელებული ბებერი ლოყები ამ დროს. სოსას გარმონსაც გაჰქონდა ბრონქიტიანი სტვენა-ქშუტუნი. თედოს დაბზარულ დოლსაც ხან ზემოდან მოხვდებოდა ჯოხი, ხან ქვემოდან, ხან ზემოდან, ხან ქვემოდან.

დროსტარების მეორე დილას ჩვეულებრივ გვიან გამოვიდოდნენ ხოლმე მზეზე გასახუხად თვალებშეშუპებული და თავქვეშნადები ტანისამოსივით დაჭმუჭნულები. დიდხანს და უსიტყვოდ ამთქნარებდნენ.

მერე რომელიღაცა იტყოდა: კინწურაანთ ნიკა შემომხვდა გუშინწინ, იმ კვირია შვილიშვილის ქორწილი მაქ და მუზიკა თქვენი უნდა იყოსო.

— როდისაო? — შეესიტყვებოდა ხოლმე მეორე.

— იმ კვირიაიო.

ახალი ამბით ნასიამოვნები იმათი მეორე ნახევრები ერთმანეთს გადახედავდნენ, ტუჩებს ყურებთან მიუტანდნენ ერთიმეორეს და კარგა ხანს ჩასტუტუნებდნენ ღიმილმორეულები.

— ოქროკვერცხაანთ სიმონას დიდი ნათლობა ჰქონია, საგანგებო კაციც გამოუგზავნია ჩვენ დასაძახებლადა, მაგრამა იმ ტუტუცსა ვერ მოუგნია და!.. — იტყოდა ხოლმე მეორე.

თუ ჩვენი თავი უნდოდა, კაცს რაღასა გზავნიდა, თვითონ ამოერბინა, სახლიც იცოდა და კარიცა.

— ეჰ, თვითონ მუხლთ აღარ ერჩის და!..

— ჰაი, ჰაი, დედასა!

— დედასა!..

— დედასა!..

ეჰ, გულგატეხილები იყვნენ, თორემა!.. თორემა ოქროკვერცხაანთ სიმონას ბარე თვეზე მეტია წლის ხარჯიც გადაუხადეს შვილებმა...

კინწურაანთ ნიკას შვილიშვილის ქორწილიც შარშანწინდელი თუ არა, შარშანდელი ამბავი მაინც იყო.

— ბიჭო, თედო! — ეტყოდა ხოლმე ერთი მეორეს.

— ბიჭო, ბუთხუზ!

— ბიჭო სოსა!..

ეჰ, გულგატეხილები იყვნენ, თორემა! ამათი ბიჭობის შემდეგ ბარე ოთხმა ბიჭობამაც ჩაიარა...

„რა არი წუთისოფელი ! — ფიქრობდა თავისთვის რომელიმე მათგანი, — ისე როგორ უნდა ავიღოთ ხელი ამ ქვეყანაზედა, რომ ერთი კოხტა „ტუში“ არ ჩავაწკრიალოთ ერთ მაგარ ქორწილში ან დღეობა-ნათლობაშია“..

ამასვე ფიქრობდნენ დანარჩენები.

ერთმანეთს კი უმალავდნენ თავიანთ გულისწადილს. ენას კბილს აჭერდნენ უკანასკნელი სურვილის დასაფარავად, მაგრამ ერთად შებერებულებს ერთიმეორისა უთქმელადაც ესმოდათ.

ასე ჩალიჩით გადიოდა დრო, მოპატიჟე კი არსად ჩანდა...

ისევ ისე კვირადღეობით ივიწყებდნენ გულისწუხილსა, გოლა რომ ამოუვლიდათ საბებრო არაყითა და მანეულზე ასხმული ცოცხალით. იშვიათად რომ გოლას ეს დღე გაეცდინა, მაგრამ ზოგჯერ ასეც მოხდებოდა ხოლმე...

მაშინ მის მოლოდინში სამივენი უბნის შემოსახვევს გასცქეროდნენ გვიანობამდე. მერე კი, მოწყენილები დასაძინებლად წამოფართხუნდებოდნენ.

— სიპზე ხომ არ დაუცდა ფეხიო, — იტყოდა ერთი.

— იმ ოხერა ბადემ ხომ არ გადაითრია მორევშიო.

— ალბათ, ხელი მოეცარა და სახემტვრიანი ვეღარ გვეჩვენებაო, — ამბობდა მესამე.

„ნეტა ქარებმა ხომ არ დაჰკრუნჩხაო“, — ფიქრობდა ერთი.

„ნაღვლის ბუშტი ხომ არ გაუსივდაო“, — ფიქრობდა მეორე.

„ემანდ სისხლი არ ჩაექცესო“, — ფიქრობდა მესამე.

ეჰ, გულგაუტეხელები იყვნენ, თორემა! თორემა, გოლას უკანასკნელი რვამხრიანი სასროლი ბადე ბარე შვიდიოდ წელია ძონძებად ქცეული კაკანათებადა და კალიების საჭერებად დაუქუცმაცეს შვილიშვილებმა. მერე პენსია დაუნიშნეს გოლასა, მაგრამ ბადე აღარ აყიდინეს შვილებმა და რძლებმა — ემანდ სადმე არ ჩაიხრჩოს მუხლებში ძალაგამოლეულიო!..

რას იზამს, ჰა!.. მუხლებში ძალაგამოლეულიო! მერე კვირაობით ბაზარზე სიარული დაიწყო გოლამ. აფსუს, კილო ცოცხალი ოცი მანეთიო! დედასა! სასწორზე ნაყარი ღვატაც ცოცხალია და ის ჭანარებიცა, დაბმულებივით რომ ჰყავდა შეგულებული მტკვარში გოლასა!..

დედასა!.. ოც მანეთს აძლევს კილო თევზში ქართლში განთქმული მებადური...

ხანდახან ქლორით მოწამლულ თევზსა ჰყიდიან მარჯვენამოსაჭრელები ბაზარზე და გოლაც მაშინ თუ გააცდენს თავის სიყრმის მეგობრებთან დათქმულ დღესა...

აბა, რა პირით უნდა აიტანოს საწამლავით აყროლებული თევზი...

„ნეტა თუ ხვდებიან, ბაზარზე ნაყიდი თევზი რომ მიმაქვს ხოლმეო“, — ფიქრობს გოლა. ეჰ, თვალი დაუდგეს სიბერესა!..

„ემანდ სადმე არ ჩაიხრჩოს მუხლებში ძალაგამოლეულიო! ჰმ!.. დედასა!..

იმ ხანებში საშუალო სკოლას ვამთავრებდი. ჩვენი სკოლისკენ მიმავალი გზა ძველ უბანზე გადიოდა. სკოლაში მიმავალს თავთავიანთი სახლების წინ მსხდომი მეზურნეებისათვის უნდა ჩამევლო ხოლმე. ჩემს გამარჯვებაზე, — „ჰაი, გაგიმარჯოს და გაიზარდეს“, — მეუბნებოდნენ.

ბოლო ორი გამოცდა ისე ჩავაბარე, რომ სკოლისკენ გზად მიმავალს ჩემი ნაცნობი მეზურნეები აღარ მინახავს სამფეხა სკამებზე გასახუხად და მწვანილის გასაყიდად გამოსულები. ეს შემთხვევა ძალზე მეუცნაურა. ამბის გაგება მინდოდა, მაგრამ გამოსაშვები გამოცდების ალიაქოთმა თავისი გაიტანა. მეც დავამთავრე გამოცდები და მამაჩემიც თბილისში გადაიყვანეს სამუშაოდ, ისე, რომ ივნისის ბოლოსათვის მთელი ოჯახი თბილისში გადავსახლდით. ორმა თუ სამმა წელმა ისე გაიარა, რომ გორში არ ჩავსულვარ. ერთხელ, გაზაფხულის არდადეგებზე მოვახერხე და ორი კვირით ბიძაჩემთან ჩავირბინე. ჩავედი თუ არა, მაშინვე მეზურნეების ამბავი ვკითხე ბიძაჩემს. ბიძაჩემმა შემდეგი მიამბო:

თურმე ერთ დღეს, დიდი ყოყმანისა და უარობის შემდეგ, ვიღაცა ინაურელ ოსს გაჰყოლოდნენ ქორწილში. შეძლეული ფული კი ეცოტავათ, მაგრამ უფიქრიათ, ერთ ამდენსაც ქორწილში ავკრეფავთ მოცეკვავეებისაგანო, ქორწილში კი არავის არაფერი გაუმეტებია.

ქორწილის მეორე დღეს, რომ დაუტყვიათ, არავინ არაფერს გვაძლევს, თანაც ქორწილიც თავდებაო, ამდგარან და წამოსულან. ვიღაცას შეუცდენია: ნახევარ საათში სამანქანო გზაზე გახვალთ და მანქანაზე დასხდებითო. სიარულში შემოღამებიათ. იქვე, შორიახლოს, ერთი პატარა წისქვილი დაუნახავთ და ღამის გასათევად იქ შესულან.

მთის წისქვილებში მეწისქვილეები არ ჰყავთ, ყველა თავთავის საფქავსა ფქავს. იმათ კი ჰგონებიათ, მეწისქვილე აქვე იქნება გასულიო და იმის მოსვლამდე კარს ნუ ჩავკეტავთო. ამასობაში ღამენატეხებსა და დაღლილ-დაქანცულებს ჩასძინებიათ. უცბად კარი ლაწუნით გაღებულა. ხმაურისაგან დამფრთხალებსა და თვალებდაჭყეტილ დამკვრელებს თავზარი დასცემიათ, როცა გაღიავებულ კარებში ფქვილის ჭამას შეჩვეული ვეება დათვი დაუნახავთ. ჯერ კარგა ხანს გონს ვერ მოსულან შეშინებულები. მერე უფიქრიათ, ეგება დაკვრით მაინც დავაფრთხოთო. დიდი სიფრთხილით მოუმარჯვნიათ საკრავები და ერთბაშად დაუცხიათ. დამფრთხალი დათვი კარისკენ შეტრიალებულა, კარს დასჯახებია და მარტივი საკეტი დაჯახებისგან ჩაკეტილა. ამრიგად, ჩვენი ბებერი დამკვრელები, შუაღამიდან მოკიდებული გათენებამდე, განუწყვეტლივ უკრავდნენ თურმე. თუკი ოდნავ შეისვენებდნენ — გაგიჟებული დათვი მაშინვე იმათკენ იწევდა.

ალიონისათვის ბუთხუზას ტუჩები დასისხლიანებია, დასიებია, ყურებიდან სისხლი წასკდომია. მედოლე თედოს დოლის ჯოხები დამტვრევია და გათენებამდე დაქარიანებული და დაკრუნჩხული თითები ურახუნებია დოლისათვის. აღარც სოსიას დასდგომია თავის მეგობრებზე უკეთესი დღე.

გათენებისას წისქვილში მიმავალ გაღმასოფლელ გლეხს დაკვრის ხმა გაუგონია. უფიქრია, ინაურელების მაყრიონი წისქვილში ჩამოსულა საქეიფოდ, დროზე მივიდე, ეგებ ყანწი ლუდი და არაყი მეც მერგოსო. საფქავი იქვე დაუდგამს და კარი გაუღია. კარის გაღება და დაფეთებული დათვის გამოვარდნა ერთი ყოფილა. გლეხს გული შეჰღონებია და კარგა ხანს გონზე ვერ მოსულა. გონზე მოსული ინაურში გაქცეულა და ამბავი შეუტყობინებია. საშველად მისულ გლეხებს მთელი ღამის შიშისა და დაკვრისგან დაოსებული და დასისხლიანებული მეზურნეები ჯერ მკვდრები ჰგონებიათ, მერე წყალი უსხამთ. ამ ამბის შემდეგ ბუთხუზასა და თედოს დიდხანს აღარ უცოცხლიათ.

მათი დაობლებული მეორე ნახევრებიც სულ რაღაც ორიოდე თვეში უკან მიჰყოლიან თავიანთ კაცებს საიქიოს გრძელსა და უშფოთველ გზაზე. მარტო სოსა და მისი ცოლიღა დარჩენილან, მაგრამ სოსაც სანახევროდ ვეღარ არის სრულ ჭკუაზეო და მისი ცოლიც გულის დამბლისაგან ლოგინად არის ჩავარდნილიო.

ჩემი ნაცნობი უწყინარი მეზურნეების ასეთმა უბედურებამ ძალზე დამწყვიტა გული. ბიძაჩემს მეტი აღარა ვკითხე-რა. საღამო ხანს გარეთ გამოვედი და იმათი ქუჩისაკენ გავწიე, რამდენჯერმე ავიარ-ჩავიარე იმ ადგილებში. თითქოს გზა დამებნაო, იმათ სახლებს ვეღარ მივაგენი. მერე მივხვდი, რაშიც იყო საქმე. ახალი, დიდი სახლი აეშენებინათ ბუთხუზას, თედოსა და სოსას ნამოსახლარებზე. სახლი ავათვალ-ჩავათვალიერე. კარგი შენობა იყო ოთხსართულიანი, წითელი ტუფით ნაშენები. პირველ სართულზე მაღაზიები ჰქონდათ. უცბად ერთ-ერთი მაღაზიიდან გამოსულ „კართუზიან“ ბებერს მოვკარი თვალი. პატარა ბებრული ნაბიჯებით წაცანცარდა და იქვე შორიახლოს ჩამოჯდა დამხობილ თუნუქის დიდ ქილაზე. მეც მივუახლოვდი.

გამარჯობა, ძია სოსა, როგორა ხართ-მეთქი. სოსამ დაჩამიჩებული სახე ასწია, დამაშტერდა. დიდი გაჭირვებით გადაყლაპა ლუკმა.

— რომლისა ხარ, შვილო, ვეღარ გიცანი.

ამისა და ამის შვილიშვილი ვარ-მეთქი.

— ჰაი გაგიმარჯოს და გაიზარდეო, — მითხ-

რა სოსამ და თან საწყალობლად გამიღიმა. მერე მოჰყვა ჩიფჩიფით და სვენებით თავის გასაჭირს: — რაღა როგორა ვარ, შვილო, რაც ეს კოშკი აგვიშენეს, მას აქეთ დავკარგე ჩვენი ბუთხუზა და თედო. რამოდენას ვეძებ, ვუძახი, ჰაი, აქეთ, ჰაი, იქით. არ იქნა და არა, იმათ გზასა და კვალს ვერ მივაგენი. ზოგი მეუბნება, მეოთხე სართულებზე ცხოვრობენო, ზოგიც — მესამეებზედაო. დღესა, აგერა ჩვენს მეპურესაც ველაპარაკე მაგის თაობაზე, იმან კი სულ ამირდამირია გზა და კვალი: ბუთხუზა და თედო წაიყვანეს და ოპერაში აკვრევინებენო... მოდი და მაგისთანა ბრიყვს კიდევ რამე ჰკითხე და!.. მაგას ამხანაგობისა არა ესმის რა. თედო და ბუთხუზა უჩემოდ პურსაც არ სჭამდნენ და რაღა ამ სიბერის დროს გაუწყრებოდათ ღმერთი. ეს ოხერიც როგორა ხურდება მზეზე და, — თქვა სოსამ და ქვეშამოდებული დუქნის ქილას გამხმარი ხელი მიადო, — ჯერ კიდევ სად არი, ჯერ კიდევ ისე არ გაფიცხულა. წინა კვირას იმოდენა მუშტარი მოგვადგა, იმოდენა, რომ ჰა! სულ შავი კარტუზები ეხურათ, შავი ქამრები ეკეთათ, ბეც დამიტოვეს, აი, — თქვა სოსამ და უბიდან ერთი დასტა გორის საკონსერვო ქარხნის ეტიკეტები ამოიღო და აცახცახებული ხელით ქაღალდებს სწორება დაუწყო, — აბა, უთედოოთა და უბუთხუზოთ რაღა იქნება-მეთქი. ე, ბე მე დამიტოვეთ, ი ბიჭებს შევატყობინებ და საცა გენებოთ, იქ წამოგყვებით დასაკრავად-მეთქი. დღეს-ხვალ მოგვაკითხამენ კიდეცა, მე ჯერაც ვერ მივაგენ იმათ კვალსა.

სოსას ნალაპარაკევიდან მივხვდი, რომ ცუღლუტი მოსწავლეები იქნებოდნენ „შავკარტუზიანები“ და „შავქამრიანები“..

— ბე უკვე მოცემული აქვთ, ხვალ-ზეგ ალბათ გამომივლიან კიდეცა და მე ჯერაც ვერ მინახია ი ბიჭები. გუშინ ისევ მეორე სართულები დავათვალიერე, დღეს ეგება მესამე სართულზე ავიდე როგორმე. ეჰ... ეს ოხერა მუხლები მიბჟუიან და! სართულებზე ასვლა-ჩასვლა მიჭირს... დედასა!“ — სოსა წამოდგა, ქილა გადმოაბრუნა, შუაზე გაჭრილი თეთრი, სამმანეთიანი პური შიგ ჩადო, გულზე მიიხუტა. ერთხანს ასე იდგა გარინდებული, გულზე მიხუტებული ქილით. მერე შეტრიალდა და ახლა შენობისაკენ წავიდა. ჩემკენ ერთხელაც არ მოუხედავს, ერთბაშად დაავიწყდა ჩემი აქ ყოფნაცა და ჩემთან ლაპარაკიც. ვიფიქრე, ალბათ შინ მიდის-მეთქი. უკან დავედევნე, მინდოდა მისი ოთახი დამემახსოვრებინა. საცოდავი ფორთხვა-სვენებით სოსამ კიბე აათავა და მეორე სართულის დერეფნის კართან შეჩერდა. „კარტუზი“ მოიხადა, ჯიბიდან ჩვარი ამოიღო, ცახცახით მიისვ-მოისვა შუბლსა და თავ-პირზე, სული მოითქვა, მერე ისევ დაიხურა „კარტუზი“, ისევ მოიხადა. რაღაც მოკრძალება და დაბნეულობა ეტყობოდა.

კარს ზემოთ გაკრული აბრა მხოლოდ ახლა შევნიშნე, „ქ. გორის მუსიკალური ათწლედი“ — ეწერა აბრაზე. ჩემს იქ არყოფნაში გორის მუსიკალური სკოლა ახალ შენობაში გადმოეტანათ. ოდნავ გამოღებულ დერეფნის კარიდან საკრავების არეული ხმები ისმოდა.

სოსა დერეფანს ჩაუყვა. ხან ერთ კარს მიადებდა ყურს და ხანაც მეორეს. მერე ერთ-ერთი კარი შეაღო. მეც უკან მივყევი. ოთახში ორი ჰობოისტი მეცადინეობდა. სოსას დანახვაზე ორივენი წამოდგნენ, ერთმანეთს გადახედეს, მერე ორივემ ჯერ ძველი, მეზურნეების ტუში ჩაბერეს, მერე ახალიც მიაყოლეს. შორიდან მივესალმე ბიჭებს. ორივეს კარგად ვიცნობდი, ჩემზე უკან იყვნენ ერთი წლით სკოლაში. ტუში რომ გაათავეს, სავარძელი მიაწოდეს სოსას. სოსაც ჩამოჯდა. კარგა ხანს იჯდა და ყურს უგდებდა ჰობოის ოდნავ მოგუდულ ხავერდოვან ტემბრს. მერე თავის ქინდვრა იწყო, ცოტა ხნის შემდეგ ტკბილად ჩაეძინა. ბიჭებთან მივედი. მივიკითხ-მოვიკითხეთ ერთმანეთი. მერე სოსას ამბავიც ვიკითხე, თურმე სოსა ყოველდღე დადის მუსიკალურ სკოლაში. სასულე საკრავების კლასში საათობით რჩება და ყურს უგდებს ბიჭების მეცადინეობას. მერე თვლემა მოერევა სავარძელზევე ჩაეძინა და ასე სძინავს თურმე, სანამ მეცადინეობა არ დამთავრდება.

ბიჭებს დავემშვიდობე და გარეთ გამოვედი. ნეტავ რასა ხედავს საწყალი სოსა სიზმარში?

სხვას რასა, თუ არა ბუთხუზას, თედოსა და თავისთავს ძველი ზურნით, დაბზარული დოლითა და დაკოწიწებული გარმონით ხელში...

დერეფანში კი დედალ-მამალი ქედნების ღუღუნივით ისმოდა პირველი და მეორე ჰობოის შეწყობილი ხმები.

**თვალსაჩინო ქართველი მწერლის მერაბ ელიოზიშვილის სამოქალაქო გამოსათხოვარი პანაშვიდი გაიმართება 8 იანვარს დიდუბის ღვთისმშობლის ეკლესიაში 13 საათზე. დაკრძალვა მოხდება დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში 14 საათზე.**


თემურ ელიავა

**ამას წინათ რადიოში ერთმა მსმენელმა ეთერში წაიკითხა ლექსი, რომელიც ძალიან, ძალიან მომეწონა. არც ლექსის სათაური ვიცოდი, ვერც ავტორი ვერსად ვიპოვე და აი, დღეს ბედმა გამიღიმა ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გავიგე, რომ ლექსი ჩემხელა ბიჭის დაწერილია. თემურ ელიავა დაიბადა ქ.სოხუმში 1987 წლის 1 აგვისტოს. ამჟამად ცხოვრობს ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაიშში.**

**კარგი იქნება, თუ თქვენი გაზეთი მკითხველს გააცნობს თემურის ლექსებს როგორც ჭაბუკი გულის ამოძახილს.**

**თენგიზ თომაძე.**
**რადიომსმენელი**

# ჭაბუკი გულის ამოძახილი

## დიალოგი ღმერთთან

შორს ცის კამარას მიწიერთაგან
ალი ეკიდა მზის ცხელ სხივებში
ცეცხლს ასდიოდა კვამლი ქათქათა
და იხრჩობოდა მაღალ მორევში

რკინის ღრუბლებად ამოჭედილი
ცხრა საფეხური ამაღლებულა
მართლა ღვთის ტახტი იდგა მოქნილი
დროში ქცეული უკვდავ სხეულად

იქ ღმერთი იჯდა, ამაყი ღმერთი,
და მკაცრი მზერით აჩენდა რისხვას
გოლიათებმა ზურგს მტაცეს ხელი
და მიმიყვანეს დარბაზის მიჯნას

მუხლჩამოყრილი ფიცარნაგებზე
შიში მახრჩობდა ჩემს თავთა ზედა
მე დედამიწის იალაღებზე
ამდენი ცოდვა დავტოვე წეღან

და თითქოს ლოდი, გულ-მკერდზე მეცა
ღვთის ხმამაღალი, ამაყი სიტყვა
ირგვლივ დაიძრა შავფერი ზეცა
ირგვლივ დადუმდა ცა, მზე და მიწა

– ადამიანო! სასუფეველში
ადრე მომხვდარხარ რომ დარჩე მარად
მე შენი სულის ვხედავ მორევში
იმ ბოროტებას, რომელსაც მალავ

მოგიახლოვდა ღვთისა მართალი
დასჯა ყოველი სუფთა და წმინდა
სთქვი შენი სიტყვა რომ ხარ მართალი
გულის სიღრმეში ამის თქმა გინდა.

თავი ავწიე და ღმერთი ვნახე
ისევ ადუღდა ძარღვებში სისხლი
ოფლით დასველდა ცოდვილი სახე
ჩემში გაცოცხლდა მომკვდარი ზიზღი

- უფალო! ხალხმა დაგარქვა ღმერთი.
მე ჯოჯოხეთით მაშინებ განა?..
დედამიწაზე რა ვნახე მეტი?
სხვა ჯოჯოხეთი არ არის! არა!

მე ცრემლს და დაღლას ვუძლებდი
დიდხანს
მე ვგრძნობდი ტკივილს, მსდიოდა
ოფლი
ხელის დაქნევა და შენი რისხვა,
არ მინდა ღმერთო, ისედაც მყოფნის.
სიმართლე გინდა? აგერ ვარ, შენ წინ
მუხლჩამოყრილი ლაპარაკს ვბედავ
გული ჯერ კიდევ სიცოცხლით მეწვის
ნახე თვალებზე ცრემლი მაქვს. ხედავ?

იცი, უფალო, რა არის ცრემლი?
ვერ მიამსგავსებ შენს შექმნილ წვიმას
ცრემლი ისაა როდესაც ებრძვი,
ცრემლი ისაა როდესაც გტკივა.

მაგრამ არ ვიცი უფალო რადგან
შენს მკაცრ თვალებს და შენს ამაყ
სახეს
არ მოუხდება ცრემლი და დაღლა
რომ არ გაფანტოს ეს სიამაყე.

მე გეტყვი მართალს, დამსაჯე მერე.
ადამიანი ამდენს რომ ვბედავ, მაგრამ,
რომ მითხრა ვერ დავიჯერებ
მე დამნაშავე რაში ვარ ნეტავ...

თუ ეს სამყარო შეიქმნა ღვთისგან?
თან კი ცოდვები თითოდ და თითოდ
შენ ღმერთო პასუხს მოითხოვ ვისგან?
თუ ყველაფერი შექმენი თვითონ.

ცოდვებით არის სამყარო სავსე
რადგან შევცოდავთ და ვმალავთ ვითომ
შენ ეს სამყარო შექმენი ასე
და დამნაშავეც შენა ხარ თვითონ!

ადგა უფალი, დატოვა ტახტი,
და ისევ შიშმა უეცრად დამჭრა
შემხედა ზედა, ყველაფრით დაღლილს
და თითქოს მონას პასუხი გამცა:

– გტკივა, და ასე იქნება მარად.
რადგან ეს არის სამყოფი ხალხის
რადგან ცოცხალი აქციეთ მკვდარად
რადგან ბრალს მადებთ სანაცვლოდ
მადლის.

ნახეთ სამყარო, ჩვილი და სუფთა
მერე დაგლიჯეთ, დაკოდეთ, ეცით,
მტვერი ააგდეთ სინათლის შუქთან
ეხლა იმ მტვერში სამართალს ეძებთ?

არ იყო ცუდი, არ იყო კარგი,
არც განსხვავება არ იყო დროში
მაგრამ სიწმინდეს ვერ მიხვდა ხალხი
და გულში დაჭრა მიწიერ ომში
შენ მართალი ხარ, უკვდავი სული
არ გაღონებდა ცოცხალი სევდით
მაგრამ ოდესღაც მეც მქონდა გული
ახლა რომელიც ხალხს დააქვს მკერდით

ოდესღაც ასე უცრემლო, მშვიდი
დიდხანს ვეძებდი ბოლო არჩევანს
და ერთადერთი გავწირე შვილი
ამდენი შვილის გადასარჩენად

გოლიათებზე ზედ იწვა ზეცა,
ცეცხლი ეკავათ უფლისებრ ბერებს
მე ცხოვრებაში პირველად შემრცხვა,
არა, ეს იყო ცხოვრების მერე

თავი დავხარე, დავმალე სახე
ასე უეცრად ჩემს სასჯელს ვიხდი
ასე უფლის წინ სიმართლე ვნახე
ჭეშმარიტებას გვიან რომ მივხვდი

თუ მეზობელი სახლს აგიშენებს,
შენ კი იმ სახლის დაიწყებ ლესვას,
არ დააბრალო მერე მშენებელს
სახურავიდან წყალი თუ წვეთავს

უფალს შევთხოვე, დრო აზრებს არ წყვეტს,
ჩემი სასჯელი მითხარი ღმერთო
თვითონ გავაღებ მაგ რკინის კარებს
შავ ჯოჯოხეთში რომ დავიფერფლო

ძნელ ტკივილისგან არ მქონდა ფიქრი
და გვიან გიხსნი ჩემს ცოდვებს მალულს
მე დამნაშავედ იმიტომ გვთლიდი
რომ უკვდავებში ვეძებდი ბრალეულს

დედამიწაზე ვეძებდი მართლებს
და მოსამართლე არ მყავდა არსად,
შენა ხარ ჩემთვის დღეს მოსამართლე
და შვილი შენი მოველი დასჯას!

* * *

ნისლის სურნელი მოშორდა დილას,
ფანჯრის მინაზე შენს სახელს ვწერდი,
ვხედავდი ,როგორ დაჰქონდა ნიავს
ამოხეული წიგნიდან გვერდი.

მას მეოცნებე მკითხველის ნაცვლად
ესალმებოდა დახრილი კედრი,
ფრთხილად დაეცა ნაწვიმარ ასფალტს
ამოხეული წიგნიდან გვერდი.

აყვითლებული,პაწია, ციცქნა
გვერდი, რომელიც არავის ერგო,
მკვდარი ჩიტივით დაეცა მიწას,
მკვდარი ჩიტივით ასფალტზე ეგდო.

მას კითხულობდა შრიალით ვერხვი,
სხვა მეოცნებე მკითხველის ნაცვლად,
შენც დააბიჯე,ძვირფასო ,ფეხი,
ვერ შეამჩნიე ტალახში, ალბათ.

ღამენათევი პოეტის თვალებს
დაღალულ ფიქრთა მოადგა ცრემლი:
სიკვდილი ტკბილი,სიკვდილი მწარე,
აუხდენელი ოცნებით მწველი.

სიცარიელეს ვატარებ მკერდით,
ახლა ვიგრძენი არყოფნა სრული,
ამოხეული წიგნიდან გვერდი
იყო მწუხარე პოეტის გული.

ფანჯრის მინაზე შენს სახელს ვწერდი
და ჩემი გული ასფალტზე ეგდო,–
ამოხეული წიგნიდან გვერდი,
გვერდი, რომელიც არავის ერგო.

## წითელი ლექსი

ცის ლაჟვარდებში მზე რად მიაქვს
მაღლა ანგელოზს?!
მე სულ სხვა ნათელს,სულ სხვა
სითბოს
ტრფობით შევცქერი.
სულელი წვიმა არის ჩემი
მიქელანჯელო,
ფანჯრის მინაზე ქალწულივით
დნება შედევრი.
სივრცე მომწყურდა და მომაკვდავ
სხეულს ვიშორებ.
დროის ჯალათებს რად აუტყდათ
რეკვა ზარების?!
მე სულ სხვა სევდით ოცნებების
მომკლავს სიშორე,
თვალდახუჭული ცის კამარას
მივეკარები...
თორმეტი ტომის დამწვარ გვერდებს
ვფანტავ ქარდაქარ,
დაიფანტება მტვრის გენია
მოკლულ სივრცეში.
ო,მერი,მერი,მერი,მერი,
მერი,მერი...მიყვარხარ!
და გალაკტიონს
ვიწვევ დუელში.

* * *

მე თქვენ გიძღვნიდით უმანკო მზერით
ბინდისფერ თვალებს, ოცნებებს,
სიზმრებს.
მე ვიყავ მეფე და დიადემით
მოკაზმულიყო გრძნობათა სიბრძნე.
თვალახვეული შეცნობის პირას
დგას თქვენი ანრი
ტკივილით,დაღლით.
მას დიადემა კიბეზე მიაქვს,
მას ცარიელი დახვდება ტახტი.
ის მორჩილებით სინანულს დასძლევს,
ჩაიკეცება ლოცვებში ფრთხილად,
სიყვარულისთვის დანგრეულ ტაძრებს
უფრო დიადი სიწმინდე ჰქვია.
მეც ეშაფოტზე სიწმინდე გამაქვს,
გამეფებული გრძნობათა სიბრძნით.
ვგრძნობ საფეთქელთან სასტიკ იარაღს
და თქვენ, ძვირფასო,
გასროლას გიძღვნით.
სიცოცხლე მაინც ვერ გავიმეტე.

* * *

გალაკტიონს ნუ მიკითხავ, დამღალა.
გაიტანეთ ოთახიდან წიგნები!
ზამთრის კვნესა მიწას სხივმა ახარა,
შენ ამ დღიდან გაზაფხული იქნები.
მინდა შენი ფერიების სიმღერა, –
რომ მთვარეულს ბოლო
მთვარეს გპარავდე.
დამასიზმრე მზის ფიალა სხივება,
მიმიყვანე შორი ტაძრის კარამდე.
დავასრულე ფუჭი ღამის ტრაური,
ალიონის დიად სივრცეს ვეღირსე.
გამოაღეთ კარიბჭენი ტაურის,
ვაგვიანებ ანგელოზთა მეჯლისზე.
ფიქრმა ქუჩა ტირიფებად დახარა,
ოთახიდან გატანილი სამყარო.
სახარებას ნუ მიკითხავ,დამღალა...
მზეზე უნდა გესაუბრო,მაღალო!
მინდა ღამე, ოღონდ ღამე უძილო,
მინდა მთვარით ცას დასმული
წერტილი,
მინდა ფიქრი, ტბაზე ჩემი უძირო,
ზეცა მინდა, ოღონდ ფეხქვეშ
თელილი.
მიწის გუნდას მზით ამოთხრის
სიღრმიდან
გუმბათებზე სხივთა ცეკვა უგალობს.
იუდას რომ სული ვერცხლად უღირდა,
თავმდაბლობა ნახე მისი, უფალო.
დარჩა ქუჩა გიჟი მარტის ამარა,
დარჩნენ ქარში გაცვეთილი წიგნები.
ზამთრის კვნესა მიწას სხივმა ახარა,
შენ ამ დღიდან გაზაფხული იქნები.

# 8 ქვეყანა, რომლებიც ამერიკის დაღმასვლით დაზარალდება

**ამერიკის გლობალური დომინირების შესუსტებით, შედარებით სუსტი ქვეყნები უფრო მოწყვლადები გახდებიან დიდი რეგიონალური სახელმწიფოების აქტიური გავლენის მიმართ. ინდოეთი და ჩინეთი აღმასვლას განიცდიან, რუსეთი სულ უფრო იმპერიალისტური, ხოლო ახლო აღმოსავლეთი ისეთი არასტაბილური ხდება, როგორც არასდროს. რეგიონალური კონფლიქტების საფრთხე, გლობალურად აქტიური ამერიკის არარსებობის ფონზე, რეალურია. მოემზადეთ ისეთი გლობალური რალობისთვის, რომელშიც მხოლოდ ყველაზე ძლიერი გადარჩება.**



### 1. საქართველო

ამერიკის დაღმასვლა ამ პატარა კავკასიურ სახელმწიფოს რუსეთის პოლიტიკური მუქარებისა და სამხედრო აგრესიისთვის მოწყვლადს გახდის. 1991 წლის შემდეგ შეერთებული შტატები საქართველოს 3 მილიარდი დოლარით დაეხმარა – აქედან ერთი მილიარდი დოლარი 2008 წლის რუსეთთან ომის შემდეგ გამოუყო. ამერიკის დაღმასვლა დამატებით შეზღუდავს შეერთებული შტატების შესაძლებლობებს, და შეიძლება თავისთავად გამოიწვიოს ის, რომ რუსეთს გავლენის ძველი სფეროს აღდგენა მოუნდეს. მეტიც, რუსეთის ყოფილ და მომავალ პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს სერიოზული პერსონალური ზიზღი აქვს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიმართ.

**საფრთხე:** რუსეთის დომინირებას ევროპისკენ მიმავალ სამხრეთის ენერგეტიკულ დერეფანზე, შესაძლოა, ევროპაზე ზეწოლის გაძლიერება მოჰყვეს, რომ ამ უკანასკნელმა მოსკოვის პოლიტიკური დღის წესრიგი გაიზიაროს; დომინოს ეფექტი აზერბაიჯანზე.

### 2. ტაივანი

1972 წლიდან, შეერთებულმა შტატებმა ფორმალურად გაიზიარა მატერიკული „ერთი ჩინეთის" ფორმულა, რომლის თანახმად არც ერთ მხარეს არ უნდა ეცადა სტატუს-კვოს ძალით დარღვევა. თუმცა პეკინი ძალის გამოყენებას რეზერვში ინახავს, რაც ვაშინგტონს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ გაამართლოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ტაივანისთვის შეიარაღების მიყიდვის ფაქტი. ბოლო წლებში ტაივანის და ჩინეთის ურთიერთობა გაუმჯობესდა. თუმცა ამერიკის დაღმასვლამ შეიძლება გაზარდოს ტაივანის მოწყვლადობა, რაც ტაიბეის ლიდერებს პირდაპირი ჩინური ზემოქმედებისა და ეკონომიკურად წარმატებული ჩინეთისადმი მიდრეკილს გახდის. ამან, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლება დააჩქაროს გაერთიანების ვადები, მაგრამ არათანაბარ პირობებში მატერიკის სასარგებლოდ.

**საფრთხე:** სერიოზული დაპირისპირების რისკი ჩინეთთან.

### 3. სამხრეთ კორეა

მას შემდეგ, რაც 1950 წელს, საბჭოთა და ჩინური შეთქმულების შედეგად, ჩრდილოეთი კორეა თავს დაესხა სამხრეთ კორეას, შეერთებული შტატები სეულის უსაფრთხოების გარანტიაა. სამხრეთ კორეის ეკონომიკური აღმასვლა და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა შეერთებული შტატების ჩართულობის წარმატებაზე მიუთითებს. თუმცა, მთელი ამ წლების განმავლობაში, ჩრდილოეთმა კორეამ სამხრეთის წინააღმდეგ მთელი რიგი პროვოკაციები დადგა, დაწყებული მისი კაბინეტის წევრების მკვლელობებით და დამთავრებული სამხრეთი კორეის სამხედრო ხომალდის ჩაძირვით 2010 წელს. ასე რომ, ამერიკის როლის შესუსტება სამხრეთ კორეას მტკივნეული არჩევანის წინაშე დააყენებს: ან უნდა გაიზიაროს ჩინეთის რეგიონალური დომინირება და შემდგომშიც ჩინეთის იმედზე იყოს, რითაც ბირთვულ ჩრდილოეთს მოთოკავს, ან შეეცადოს უფრო ძლიერი, თუმცა ისტორიულად არაპოპულარული, ურთიერთობის დამყარებას იაპონიასთან საერთო დემოკრატიული ღირებულებების და ფხენიანისა და პეკინისგან აგრესიის შიშის ფონზე.

**საფრთხე:** სამხედრო და ეკონომიკური უსაფრთხოება კორეის ნახევარკუნძულზე; ჩვეული ნდობის კრიზისი იაპონიასა და სამხრეთ კორეაში არსებული ამერიკული ვალდებულებების სანდოობის მიმართ.

### 4. ბელარუსი

საბჭოთა კავშირის დაშლიდან ოცი წლის შემდეგ, ევროპის უკანასკნელი დიქტატურა პოლიტიკურად და ეკონომიკურად კვლავ რუსეთზეა დამოკიდებული. მისი ექსპორტის ერთი-მესამედი რუსეთში მიდის, რომელზეც ის ფაქტობრივად მთლიანად არის დამოკიდებული ენერგეტიკული თვალსაზრისით. იმავდროულად, პრეზიდენტ ალექსანდრ ლუკაშენკოს 17-წლიანი დიქტატურა დაბრკოლება იყო დასავლეთთან რაიმე ტიპის მნიშვნელოვანი ურთიერთობისთვის. შესაბამისად, ამერიკული გავლენის შესამჩნევი დაღმასვლა რუსეთს ფაქტობრივად ბელარუსიის ხელახლა გადაყლაპვის სერიოზულ შესაძლებლობას აძლევს.

**საფრთხე:** მეზობელი ბალტიის სახელმწიფოების, განსაკუთრებით ლატვიის უსაფრთხოება.

### 5. უკრაინა

კიევის ურთიერთობა მოსკოვთან ისევე მიდრეკილი იყო დაძაბულობისკენ, როგორც დასავლეთთან – მერყეობისკენ. 2005, 2007 და 2009 წლებში რუსეთი ან იმუქრებოდა, ან წყვეტდა უკრაინის გავლით ნავთობის და ბუნებრივი გაზის ტრანზიტს. ახლახან პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩზე ზემოქმედება განხორციელდა, რათა მას რუსეთის სამხედრო ბაზისთვის უკრაინის შავი ზღვის სევასტოპოლის პორტში იჯარის ლიცენზიის ვადა კიდევ 25 წლით გაეხანგრძლივებინა და ეს რუსეთიდან ენერგომატარებლების შეღავათიანი ფასით მიწოდების სანაცვლოდ. კრემლი განაგრძობს უკრაინაზე ზეწოლას, რომ ეს უკანასკნელი რუსეთთან „ერთიან ეკონომიკურ სივრცეს" შეუერთდეს, და იმავდროულად ნელ-ნელა კიდევს, მის საკვანძო ინდუსტრიულ აქტივებზე, რუსულ ფირმებთან გაერთიანებისა და შერწყმის გზით პირდაპირი მმართველობის შესაძლებლობას ართმევს. ამერიკის დაღმასვლის პირობებში, ევროპას იმის ნაკლები ნება და შესაძლებლობა ექნება, რომ ხელი გაუწოდოს უკრაინას და ჩართოს ის გაფართოებულ ევროპულ თანამეგობრობაში, რითაც კიევს რუსული პროექტებისთვის მოწყვლადს ტოვებს.

**საფრთხე:** რუსეთის იმპერიული ამბიციების განახლება.

### 6. ავღანეთი

ცხრაწლიანი გამანადგურებელი ომის შემდეგ საბჭოთა კავშირთან, საბჭოთა ჯარების გასვლიდან ათი წლის განმავლობაში დასავლეთისგან უგულებელყოფილი, უნიჭოდ მართული შუასაუკუნეობრივი თალიბანისგან, იმედგაცრუებული ათწლიანი არსრულყოფილი ამერიკული ოპერაციებითა და ფრაგმენტული ეკონომიკური დახმარებებით, ავღანეთი ნანგრევებშია. 40%-იანი უმუშევრობით და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობით მსოფლიო რეიტინგებში 125-ე ადგილზე მყოფ ავღანეთს მცირე ეკონომიკური მაჩვენებლები აქვს, მისი არალეგალური ნარკოვაჭრობის მიღმა. სწრაფი გათავისუფლება ამერიკული ჯარებისგან, რაც გამოწვეული იქნება ომისგან დაღლით ან ამერიკული დაღმასვლის ეფექტებით, დიდი ალბათობით დასრულდება შიდა დაშლილობით და მეზობელ ქვეყნების შორის ავღანეთში გავლენის მოპოვებისთვის თამაშებით. ქაბულში ეფექტიანი, სტაბილური მთავრობის გარეშე, ქვეყანა შეიძლება დაპირისპირებული საველე მეთაურების ხელში აღმოჩნდეს. ავღანეთში გავლენისთვის ყველაზე სერიოზული კონკურენტები, როგორც ჩანს, იქნებიან პაკისტანი და ინდოეთი, შესაძლოა ირანთან ერთად.

**საფრთხე:** თალიბანის აღორძინება; წარმომადგენლობითი ომი ინდოეთს და პაკისტანს შორის; სამოთხე საერთაშორისო ტერორიზმისთვის.

### 7. პაკისტანი

მართალია, ისლამაბადი 21-ე საუკუნის ბირთვული იარაღითაა შეიარაღებული და გვიანი მე-20 საუკუნის პროფესიონალური არმია ჰყავს, პაკისტანის დიდი ნაწილი ჩამორჩენილი, სასოფლო-სამეურნეოა და დიდწილად რეგიონალური და თემური იდენტობით ხასიათდება. ინდოეთთან კონფლიქტი პაკისტანის ეროვნული იდენტობის არსს განსაზღვრავს, მაშინ როდესაც ქაშმირის ძალადობრივი გაყოფა ღრმა და საყოველთაო ანტიპათიის საფუძველია. პაკისტანის პოლიტიკური არასტაბილურობა მისი უდიდესი მოწყვლადობის მიზეზია, და შეერთებული შტატების გავლენის შემცირება შეზღუდავს ამერიკის უნარს დაეხმაროს პაკისტანის კონსოლიდაციას და განვითარებას. ასეთ შემთხვევაში, პაკისტანი შეიძლება სამხედროების მართულ, რადიკალურ ისლამისტურ სახელმწიფოდ გარდაიქმნას, სახელმწიფოდ, რომელშიც მივიღებთ ერთდროულად შერეულ სამხედრო და ისლამისტური მმართველობას, ან „სახელმწიფოს" ზოგადად ცენტრალური მთავრობის გარეშე.

**საფრთხე:** ბირთვული სამხედრო მმართველობა; სამხედრო ისლამისტური, ანტიდასავლური, ირანის მსგავსი ბირთვული იარაღით შეიარაღებული მთავრობა; რეგიონალური არასტაბილურობა ცენტრალურ აზიაში, ძალადობის პოტენციური გავრცელების საფრთხით ჩინეთის, ინდოეთის და რუსეთისკენ.

### 8. ისრაელი და დიდი ახლო აღმოსავლეთი

ამერიკის დაღმასვლას ისეთი ტექტონური ძვრების გამოწვევა შეუძლია, რომელიც შეარყევს ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკურ სტაბილურობას. რეგიონის ყველა სახელმწიფო მოწყვლადია სხვადასხვა ხარისხის შიდა პოპულისტური ზეწოლების, სოციალური არეულობების და რელიგიური ფუნდამენტალიზმისთვის, როგორც ეს 2011 წლის დასაწყისის მოვლენებმა ცხადყო. თუკი ამერიკის დაღმასვლას ადგილი ექნება ისე, რომ ისრაელი-პალესტინის კონფლიქტი გადაუჭრელი დარჩება, და ვერ მოიძებნება ორივე სახელმწიფოსთვის მისაღები თანაარსებობის ფორმა, ეს კიდევ უფრო გაამწვავებს რეგიონის პოლიტიკურ ატმოსფეროს. რეგიონული მტრობა ისრაელის მიმართ გაძლიერდება. ამერიკის დასუსტების განცდამ, რეგიონის ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ირანს ან ისრაელს, შეიძლება ისეთი ცდუნებისკენ უბიძგოს, როგორიცაა მოსალოდნელი საფრთხეების გაუქმება. და ტაქტიკური უპირატესობისთვის ბრძოლამ შეიძლება ჰამასის და ჰეზბოლას პროვოცირება დააჩქაროს, რაც უფრო ფართო და სისხლიან სამხედრო შეტაკებებში გადაზრდება. ისეთი სუსტი ერთეულები, როგორებიც არიან ლიბანი და პალესტინა, სამოქალაქო მსხვერპლის მხრივ ყველაზე მეტად დაზარალდებიან. კიდევ უარესი, თუკი ასეთი კონფლიქტები მართლაც სასტიკ მასშტაბებს მიაღწევს ირანს და ისრაელს შორის დარტყმებითა და კონტრდარტყმებით.

**საფრთხე:** ისრაელის ან შეერთებული შტატების პირდაპირი კონფრონტაცია ირანთან; ისლამისტური რადიკალიზმის და ექსტრემიზმის ნაკადის ზრდა; ამერიკის სპარსეთის ყურის მოკავშირეების მოწყვლადობა.

**ზბიგნევ ბჟეზინსკი**

Foreign Policy

## აშშ-მა ახალი სამხედრო სტრატეგია შეიმუშავა




**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ახალი სამხედრო სტრატეგია წარმოადგინა. ამერიკული მედიის ცნობით, სტრატეგიის შემუშავების პროცესში, ვაშინგტონმა მნიშვნელოვანი ფინანსური შემცირებები გაითვალისწინა. როგორც ირკვევა, უახლოესი ათი წლის განმავლობაში პენტაგონის ბიუჯეტის ზრდის პროცესი შენელდება.**

ერაყიდან და ავღანეთიდან ჯარების გამოყვანის, ასევე შტატების პარტიონირი მთელი რიგი ევროპული ქვეყნების მიერ უსაფრთხოების ვალდებულებამ ვაშინგტონს შესაძლებლობა მისცა, შეემცირებინა სამხედრო ბიუჯეტი, რომელიც ქვეყნის მომავალი შესაძლებელი საგარეო საფრთხეების აღკვეთაზეა ორიენტირებული.

არმიის შემადგენლობა, რომელსაც ამერიკის შეერთებულ შტატებში ქვეით ძალებს უწოდებენ და ამჟამად იქ 570 ათასი ადამიანი მსახურობს, დაახლოებით ათი პროცენტით შემცირდება. რაც შეეხება საზღვაო ქვეითების კორპუსს, მას 202 ათასიდან 25 ათას სამხედრო მოსამსახურემდე დაიყვანენ.

მიუხედავად მთელი რიგი კორექტივებისა, თეთრი სახლის მეთაურის ბარაკ ობამას განცხადებით, მსოფლიო ზესახელმწიფოს მთავარი სამხედრო პრიორიტეტები და მიმართულებები უცვლელი რჩება. ამ პრიორიტეტების ძირითადი პრინციპი კვლავ იქნება ჩრდილოატლანტიკური ალიანსის და მისი მოკავშირეების ინტერესების დაცვა. შეერთებული შტატების თვალთახედვის ზონაში კვლავ რჩება აზია-წყნარი ოკეანის და ახლო აღმოსავლეთის რეგიონები.

ირანის მიმართ დაწესებული ახალი სანქციების შემდეგ, ექსპერტები ვარაუდობენ, რომ მიმდინარე წელს, ახლო აღმოსავლეთში გარკვეული ახალი პროცესები დაიწყება, სადაც შეერთებული შტატები გადამწყვეტ როლს შეასრულებს. ისლამური რესპუბლიკა, რომელიც ამჯერადაც ახორციელებს სამხედრო სწავლებას ორმუზის სრუტეში, ბოლო დროს გარკვეული მუქარებით გამოვიდა.

თავის მხრივ, პენტაგონმა განაცხადა, რომ თეირანს „ნავთობის არტერიის" გადაკეტვის შესაძლებლობას არ მისცემს. რეგიონის წყლებში ამჟამად დიდი ამერიკული სამხედრო ხომალდი მოძრაობს, რომელიც სიტუაციის დაზვერვის შემდეგ, ავღანეთისკენ გაემართება. სპეციალისტების ნაწილი მიმდინარე წელს ახლო აღმოსავლეთში მორიგი შეიარაღებული კონფლიქტის ალბათობას არ გამორიცხავს.

**ანა ბერიძე**

⊙ მკითხველთა თხოვნით

# ალფრედ ნობელზე, ანდერძზე, ცერემონიალზე...

**შარშანდელ 10 დეკემბერს შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში, კონსერვატორიის დიდ დარბაზში (კონცერტ-ჰაუზი) შედგა 2011 წლის ნობელის პრემიის ლაურეატების (ნობელიანტების) დაჯილდოების ტრადიციული ცერემონიალი (რომელსაც საფუძველი ჩაეყარა XX საუკუნის დასაწყისში, 1901 წლის 10 დეკემბერს, ალფრედ ნობელის გარდაცვალების ხუთი წლისთავზე). მსოფლიოში ყველაზე საპატიო სამეცნიერო ჯილდოს მფლობელთ შვედეთის მეფემ საზეიმო ვითარებაში გადასცა საგანგებო დიპლომი, ოქროს მედალი (ნობელის გამოსახულებითა და სათანადო წარწერით) და ფულადი ჯილდოს ჩეკი.**

„სრ"-ის მკითხველებს უკვე ვუამბეთ გასული წლის 11 ნობელიანტის შესახებ. იმათივე თხოვნით გაგაცნობთ სახელგანთქმული შვედის ბიოგრაფიის, ანდერძისა და სტოკჰოლმური ცერემონიალის ზოგიერთ დეტალს.

გამოჩენილი ინჟინერ-ქიმიკოსი, გამომგონებელი და მეწარმე ალფრედ ნობელი 1833 წლის 21 ოქტომბერს დაიბადა სტოკჰოლმში, ფრიად განათლებული ინჟინრის, წყალქვეშა ნაღმების გამომგონებლის, ემანუელ ნობელის ოჯახში, სადაც 4 ვაჟიშვილი აღიზარდა დედის, ასევე განსწავლული ქალბატონის, ანდრიეტა ლასელის გამორჩეული მეთვალყურეობით. საგულისხმოა, რომ ალფრედის სამივე ძმა – რობერტი, ლუდვიგი და ემილიც გამომგონებლები იყვნენ.

1842 წელს მთელი ოჯახი პეტერბურგში გადასახლდა მამასთან, რომელიც რუსეთის დედაქალაქში 1837-ში იყო ჩასული და მექანიკური ქარხნის მეპატრონე გახლდათ. ალფრედს არც სკოლა და არც უმაღლესი სასწავლებელი არ დაუმთავრებია – ფართო განათლება კერძო მასწავლებლებთან მიიღო: სრულყოფილად დაეუფლა რუსულ, გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ, იტალიურ ენებს; ღრმად დაინტერესდა საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებებით, ისტორიით, ფილოსოფიით, ლიტერატურით; ახალგაზრდობაში პოემაც კი დაწერა შელის გავლენით; წლების სიგრძეზე მუშაობდა მამის ქარხანაში და პირველი პატენტიც იქ მოიპოვა, როცა 1857-ში გაზომეტრი დაამზადა.

რუსეთიდან 1859 წელს სტოკჰოლმში დაბრუნებულმა ალფრედმა ახალი ფეთქებადი ნივთიერებების შექმნაზე დაიწყო ფიქრი და მსოფლიოში პირველმა შექმნა დინამიტი, როგორც მყარი სახის ფეთქებადი ნივთიერება, რომელსაც არც გადაზიდვის, არც ცეცხლის წაკიდების არ „ეშინია" და მხოლოდ დეტონაციის შედეგად ფეთქდება. დინამიტის საწარმოებლად პირველი პატენტები მან მოიპოვა შვედეთსა და გერმანიაში, რასაც მოჰყვა პატენტები ინგლისში, ავსტრიასა და აშშ-ში (შესაბამისად 1865, 1867, 1868 წლებში).

საგანგებოდ აღსანიშნავი ფაქტი: 1868 წელს მამამ, ემანუელ ნობელმა ფეთქებად ნივთიერება ნიტროგლიცერინის, შვილმა ალფრედ ნობელმა კი დინამიტის გამოგონებისათვის შვედეთის მეცნიერებათა აკადემიის პრემიები მიიღეს.

სიცოცხლის ბოლომდე ალფრედი გამუდმებით მუშაობდა ახალ-ახალ გამოგონებებზე (ბალისტიტი – უკვამლო თოფის წამალი, ნიტროჟელატინი – ნიტროუჯრედლას ხსნარი ნიტროგლიცერინში), აფართოებდა დინამიტის წარმოებას, სხვადასხვა ქვეყანაში დააარსა მრავალი ქარხანა, მოიპოვა 350-ზე მეტი პატენტი (გინესის რეკორდების წიგნში „ვაშა!"-თი შესატანი ციფრი!); როგორც სახელგანთქმული ქიმიკოსი და ინჟინერი, არჩეული იყო შვედეთის მეცნიერებათა აკადემიისა და ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრად.

ეს ზღაპრულად ნიჭიერი და გამრჯე კაცი უცნაურიც ყოფილა (რაც ალბათ ყველა გენიალური პიროვნების უცილობელი ხვედრია), გულჩათხრობილი და წინაალმდეგობრივი. იმისი უცნაურობა ოჯახს მოუკიდებლობაშიც გამოიხატა – კვლევით საქმიანობაში ხელს ვერ შეავაშლევინებო...

63 წლისა გარდაიცვალა იტალიის ლამაზ ქალაქ სან-რემოში (მგონი მუსიკალური ფესტივალებითაც ცნობილში); 1896 წლის 10 დეკემბერს დილით ნახეს საკუთარ ლაბორატორიაში, „საბრძოლო პოსტზე" აღსრულებული...

ალფრედ ნობელის სახელს ატარებს 1905 წლის პირველ ოქტომბერს სტოკჰოლმში გახსნილი ფიზიკა-ქიმიის ინსტიტუტი. იგივე სახელი მიეკუთვნა 1957 წელს მიგნებულ ტრანსურანულ ელემენტს – ნობელიუმი (No), 102-ე ადგილით მენდელეევის პერიოდულ სისტემაში.



რასაკვირველია, ის სახელგანთქმული ინჟინერი, ქიმიკოსი და გამომგონებელი იყო, თუმცა მეცნიერების ისტორიას განსაკუთრებულად შემორჩა დაწესებული პრემიების წყალობით. XIX საუკუნის მიწურულს ნობელი გახლდათ პლანეტის ერთ-ერთი უმდიდრესი კაპიტალისტი და სიკვდილამდე ერთი წლით ადრე დაწერილი ანდერძით თავისი უზარმაზარი კაპიტალი ახლობლებს კი არა, საერთაშორისო საზოგადოებრიობას დაუტოვა, რითაც ყველა ძალიან გააოცა. გთავაზობთ რამდენიმე ფრაგმენტს ამ მართლაც ისტორიული, ღირსსახსოვარი დოკუმენტიდან.

„მთელი ჩემი დანატოვარი ქონება ასე უნდა განაწილდეს: ანდერძის აღმსრულებლებმა კაპიტალი აქციონ ფასიან ქაღალდებად და შექმნან ფონდი, რომლის პროცენტები პრემიებად გაუნაწილდებათ იმათ, ვინც გასული დროის განმავლობაში ყველაზე მეტი სარგებლობა მოუტანა კაცობრიობას.

პროცენტები გაიყოს ხუთ ტოლ ნაწილად; პირველი ნაწილი მიეკუთვნოს იმას, ვისაც ხვდება ყველაზე მნიშვნელოვანი აღმოჩენა ან გამოგონება ფიზიკის დარგში; მეორე – ვინც განსაკუთრებით გამოიჩენს თავს ქიმიის დარგში; მესამე – ვისაც ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვის ფიზიოლოგიის დარგში ან მედიცინის დარგში; მეოთხე – ვინც შექმნის იდეალისტური მიმართულების გამორჩეულ ნაწარმოებს და მეხუთე ნაწილი – ვინც ყველაზე მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ერების შემჭიდროებაში, მონობის მოსპობაში, არსებული არმიების შემადგენლობის შემცირებაში, ხელს შეუწყობს სამშვიდობო კონფერენციების ჩატარებას.

ფიზიკოსებსა და ქიმიკოსებს შვედეთის სამეფო მეცნიერებათა აკადემია მიანიჭებს პრემიებს, ფიზიოლოგიასა და მედიცინაში – კაროლინის სამეფო ინსტიტუტი სტოკჰოლმში, ლიტერატურაში – აკადემია სტოკჰოლმში, მშვიდობისათვის მოღვაწეთ – ნორვეგიის სტორტინგის არჩეული ხუთკაციანი კომიტეტი.

დაბეჯითებით მოვითხოვ, რომ პრემიების გაცემისას ყურადღება არ მიექცეს კანდიდატთა ეროვნებას, რათა პრემია მიიღოს ყველაზე ღირსეულმა, იმისგან დამოუკიდებლად, არის თუ არა ის სკანდინაველი"...

ამრიგად, ნობელმა ანდერძით დააწესა ხუთი პრემია ფიზიკის, ქიმიის, ფიზიოლოგია-მედიცინის (ანუ ადამიანის ბიოლოგიის), ლიტერატურისა და მშვიდობის სფეროებში. აქედან პირველი სამი ფუნდამენტური მეცნიერებებია, რომლებიც ადგენენ სამყაროს ყველა მოვლენის დამმორჩილებელ ძირითად კანონებს. ზოგჯერ უკვირთ ხოლმე, თუ რატომ „გამოტოვა" ნობელმა ანდერძში მათემატიკა, რატომ „შემოსწყრა" მას.

რა თქმა უნდა, იმგვარ ინტელექტუალს, როგორიც ის გახლდათ, მშვენივრად უნდა სცოდნოდა, საერთოდ მეცნიერებაში მათემატიკის როლი და მნიშვნელობა, მაგრამ პრემიების ნუსხაში არ შეიტანა, რადგანაც მათემატიკა ფუნდამენტური დარგი კია, ოღონდ არა ბუნების კანონების დამდგენელი.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ (ადრეც გვქონდა ამაზე ლაპარაკი), რომ 1969-ში ნობელის სია შეივსო დამატებითი, მეექვსე პრემიით ეკონომიკის სფეროში, ოღონდ სხვა პრემიების ტოლფასი და აგრეთვე შვედეთის აკადემიის კომპეტენციაში შესული.

ჯილდოების გადაცემის ცერემონიალს რაც შეეხება, სიტყვა მივცეთ 1958 წლის რუს ნობელიანტს, გამოჩენილ ფიზიკოსს, აკადემიკოს იგორ ტამს.

– 10 დეკემბერს, დილას, ლაურეატები მიჰყავთ კონცერტ-ჰაუზში ცერემონიალის რეპეტიციაზე. თვით ზეიმის დასაწყისში ნობელიანტები კულისებში დგანან. დარბაზი სტუმრებით ივსება. საყვირების ხმებზე შემოდის მეფის ოჯახი, რომელსაც მოჰყვებიან ორდენებ-ლენტებით მორთული მოხელეები და გარკვეული წესით დაწყობილი ლაურეატები, თითოეულს შვედი აკადემიკოსი ახლავს.

პროცესია შედის დარბაზში. თავის დაკვრის შემდეგ ნობელიანტები სავარძლებში გარკვეული თანმიმდევრობით სხდებიან: პირველ რიგში ფიზიკოსები, ჯერ ექსპერიმენტატორები, მერე თეორეტიკოსები; იმათ უკან თავსდებიან ქიმიკოსები და ბიოლოგები და ასე მიყოლებით. ეს გახლავთ ერთადერთი შემთხვევა, როცა ყველანი, იმათ რიცხვში მეფეცა და იმისი ოჯახის წევრებიც ფეხზე დგანან, ლაურეატები კი სხედან...

ამის შემდეგ ნობელიანტის შრომების მნიშვნელობაზე, ყოველი სპეციალობის წიაღ, სიტყვას წარმოსთქვამს შვედეთის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენელი. გამოდის მეფე მოკლე მისასალმებელი სიტყვით, დაჯილდოებულნი კვლავ გარკვეული რიგით მიდიან მონარქთან, რომლის ხელიდანაც იღებენ დიპლომსა და ნობელის ოქროს მედალს. თითოეულ ცალკეულ სპეციალობაში ჯილდოების გადაცემა დამშვენებულია „საკუთარი" მუსიკით: ფიზიკოსთათვის გაისმის ბახის მელოდიები, ქიმიკოსთათვის – ბეთჰოვენისა და ასე ქვევით.

...მკითხველები არ გვეკითხებიან, თუმცა ეგებ ამ სტრიქონების ავტორივით ეს ფიქრი უტრიალებდეთ: როდის გვეყოლება ქართველთ ჩვენი ნობელის პრემიის ლაურეატი და ვინ იქნება ასეთი ლეგენდარობის პირველი კანდიდატი? ვერაფერი შვილი პროგნოზიორი ვარ, წინასწარმეტყველის როლს ვერ დავიჩემებ, მაგრამ მგონია, რომ ნობელიანტობის კარგი შანსი აქვს ბრწყინვალე ფიზიკოს-თეორეტიკოსს გია დვალს, წლების წინათ საზღვარგარეთ „გადახვეწილს" და იქ უკვე თავნასახელევსა და დაქუხებულს; თავის უცხოელ თანამშრომლებთან ჯგუფში...

**თამაზ ებანოიძე**

⊙ ქვეყნები და ტრადიციები

# საშობაო ტკაცუნები, ევროპა და... გლინტვეინი!

ახალი წელი **ავსტრალიაში** პირველი იანვრიდან იწყება., მაგრამ იქ ისეთი სიცხეა, რომ სანტა კლაუსი საჩუქრებს საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი არიგებს.

**იტალიელები** სახლის ფანჯრებიდან ძველ ნივთებს ყრიან, ყვავილის ქოთნებს, ძველ სკამებს, ჩექმებს. რაც უფრო მეტ ნივთს გადაყრიან, მით უფრო მეტ სიმდიდრეს მოუტანთ ახალი წელი, ასე სჯერათ.

**ინგლისელები** საათის პირველ დარტყმაზე აღებენ უკანა კარს, ძველ წელს ასე ისტუმრებენ, საათის ბოლო დარტყმაზე წინა კარს აღებენ და ახალ წელს იპატიჟებენ. საახალწლო საჩუქარს ერთმანეთს 28 დეკემბერს ჩუქნიან. კენჭისყრით წყვეტენ, ვის რომელი საჩუქარი ერგება. ქუდში ყრიან წარწერიან ქაღალდებს. მათ მოსწონთ მისალოცი ბარათები და ყველა ნაცნობს უგზავნიან.

მთელს მსოფლიოში, აგრეთვე ინგლისში, შობას გრანდიოზულად აღნიშნავენ, ატარებენ სხვადასხვა გასართობ ღონისძიებებს, მაგრამ ოჯახების უმეტესობა ყოველ შობას ტრადიციულად ეგებება. შობის დღესასწაულს თოვლი მას სულ სხვა ელფერს ძენს და ახალისებს, მაგრამ რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ინგლისში, შობას, იშვიათად თოვს. მეოცე საუკუნეში თოვლი შობა დღეს სულ რამდენჯერმე მოვიდა. განსაკუთრებით გამოარჩევენ 1938 და 1976 წელს, როდესაც თოვლმა თავისი მოვალეობა ნამდვილად გულმოდგინედ შეასრულა.

**საშობაო ინდაური** ჯერ კიდევ ადრე, იეზუიტებმა, საფრანგეთში შემოიღეს, რომელიც დიდი პოპულარობით სარგებლობს და ყველა ოჯახის მთავარი ტრადიციული, უგემრიელესი კერძია. მისი მომზადების წესი ყველა ოჯახში ტრადიციულია, მაგრამ მთავარი ინგრედიენტი უცვლელი ინდაურია.




**საშობაო პუდინგი** თავიდან დამზადდა როგორც ჩვეულებრივი სუპი ქიშმიშით და ღვინით, მეცხრამეტე საუკუნეში კი მისი რეცეპტი შეიცვალა და სულ სხვა ფორმა მიიღო.

1843 წელს პირველი **საშობაო ბარათი** ამერიკულმა სამრეწველო ქარხანამ გამოუშვა, რომლის სათავეში ჰენრი ქოლი იდგა. ბარათებს ულამაზესი ნახატები შეურჩიეს, გააფორმეს და დაახლოებით 10000 ცალი ლონდონში გაგზავნეს.

დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა საშობაო ფოსტები, რომელიც ჰენრის გზას აგრძელებდა, მაგრამ უფრო დახვეწილი დიზაინი ჰქონდა. ფოსტის ყველა თანამშრომელს წითელი საშობაო ფორმა ეცვათ.

პირველი ინსტრუმენტი, რომელზეც შეასრულეს **პირველი საშობაო სიმღერა** „Silen Night" გიტარა იყო, ხოლო ყველასთვის საყვარელი „Jingle Bells" 1857 წელს ჯეიმს პიერფონტმა დაწერა და თავდაპირველი სახელი „One-Horse Open Sleigh" ერქვა.

**საშობაო მაშხალები და ტკაცუნები** თომას სმიტმა გამოიგონა და მცირე ბიზნესის საწარმოებლად საფრანგეთში გადააგზავნა, მაგრამ პოპულარობა ვერ მოიპოვა, სანამ მზა ტკაცუნები ლამაზად არ შეფუთა და ბანტებით არ გააფორმა.

შობა-ახალ წელს ყველა ქვეყანაში თავისებურად ხვდებიან. ჩეხეთის, გერმანიის, ავსტრიისა და დიდი ბრიტანეთის ქუჩებში გემრიელი **გლინტვეინით** გიმასპინძლდებიან.

ფიქრობენ, რომ გლინტვეინი პირველად სკანდინავიურ ქვეყნებში გაჩნდა. იქაური მაცხოვრებლები, სიცივისგან თავდაცვისას, ჩვეულებრივი ღვინის გათბობით ექსპერიმენტებს მიეჩვივნენ, თუმცა ისტორიკოსები აღნიშნავენ, რომ გლინტვეინის პირველსახე ძველ რომაელებთან უნდა ვეძებოთ, სწორედ მათ მოიფიქრეს სასმელში სხვადასხვა სანელებლის დამატება. ღვინოში მიხაკის, დარიჩინის, დაფნის ფოთლისა და ქინძის დამატების პროცესი დაწვრილებითაა აღწერილი გურმან აპიციუსის ძველრომაული რეცეპტების წიგნში.

რადგან სანელებლები იმ დროს საოცრად ძვირად ფასობდა, საოცარი სასმელის დაგემოვნების შანსიც ძალიან მცირე იყო. მეთექვსმეტე საუკუნისთვის სიტუაცია ძირფესვიანად შეიცვალა: პრობლემა სანელებელი კი არა, ღვინო გახდა.

მეღვინეები დიდხანს არჩევდნენ კლასიკური გლინტვეინისთვის ყველაზე შესაფერის სახეობას, სანამ ინგლისელმა რობერტ მეიმ ამ სასმელის საკუთარი რეცეპტი არ გამოაქვეყნა. ამ რეცეპტში წითელი ღვინო იყო გამოყენებული. იმ დროიდან გლინტვეინის თაყვანისმცემლები მხოლოდ ინგლისში კი არ გაჩნდნენ, „გლინტვეინზე" მეგობრების მიპატიჟება ევროპის სხვა ქვეყნებშიც მოდური გახდა.

**ვოლტერი ამბობდა:** „გლინტვეინის სიტკბო და ძალა აღორძინებს ადამიანს... ღვინო ტვინის ყველა ნაოჭს ავსებს და სულის სიღრმეში გონებამახვილობისა და სიხარულის ჯადოსნურ ფეიერვერკს ანთებს".

**სახელწოდებაც გერმანულიდან მოდის: „gluhunde Wein" – „ალმოდებული ღვინო".** დაიმახსოვრეთ: სანელებელი ღვინოში კი არა, წინასწარ ადუღებულ წყალში უნდა გაიხსნას და ღვინის გემო არ უნდა შელახოს. სანელებლები დაფქული არ უნდა იყოს, სხვაგვარად სასმელი მღვრიე იქნება. ღვინოს წყალში ამატებენ და არა პირიქით (ეს წითელი მშრალი ღვინოებია).

გლინტვეინის კლასიკურ რეცეპტში შედის შაქარი, რომელსაც ბევრი თაფლით ცვლის. ზოგჯერ გლინტვეინს უმატებენ ლიმონის ცედრას, რომს, კონიაკს, ლიქიორს. გლინტვეინი არასდროს მიჰყავთ ადუღებამდე: ტემპერატურა ისეთი უნდა იყოს, დალევისას რომ არ დაიწვათ.

ზოგ ქვეყანაში, მაგალითად გერმანიაში, გლინტვეინს თიხის ჭურჭლით მიირთმევენ და მასში ამატებენ ხილის ნაჭერს. ბოკალებითაც მოგართმევენ, მათში ღვინო გაცივებას ვერ ასწრებს. მაგრამ საშობაოდ ევროპის რომელიმე ქალაქის ქუჩაში ჩვეულებრივი პლასტიკური ჭიქითაც მოგაწვდიან.

**ნატა ნიბლაძე**

ჭადრაკი

# ჩემპიონობამდე ცოტა უკლია



**იტალიის ქალაქ რეჯიო ემილიაში მიმდინარე პრესტიჟული საშობაო საჭადრაკო ტურნირის 8 ტურის შემდეგ, ქალთა პირველობის სათავეში კვლავაც ქართველი სოფიკო გურამიშვილი (2374) რჩება, რომელიც ბელორუს ანა შარევიჩს (2267) ძველებურად 1 ქულით უსწრებს.**

მე-8 ტურში გურამიშვილი შავი ფიგურებით იტალიელ მარიანა ჩიერიჩის (2048) დაუზავდა და თავი 6.5 ქულას მოუყარა, შარევიჩმა კი ასევე შავებით ყაიმი კიდევ ერთ მასპინძელ მარინა ბრუნელოსთან (2221) გააფორმა.

გურამიშვილს რეჯიო ემილიაში ორი პარტია დარჩა ჩასატარებელი: სოფიკო შავი ფიგურებით ბულგარელ ევა ვიდენოვას (2297) გაეჯიბრება, ბოლო მე-10 ტურში კი, თეთრებით შარევიჩს ეთამაშება, ამდენად, მას ჩემპიონობის ჩინებული შანსი აქვს.

გაცილებით ძლიერი შემადგენლობაა თავმოყრილი ვაჟთა ტურნირში, რომელსაც სათავეში აშშ-ს სახელით მოთამაშე იაპონელი ჰიკარუ ნაკამურა (2758) უდგას. მის აქტივში 5.5 ქულაა. 5 ქულით მე-2 ადგილზეა რუსი ალექსანდრ მოროზევიჩი (2762), ხოლო მესამე პოზიცია ჰოლანდიელ ანიშ გირის (2714) უკავია. ტურნირის რეიტინგ-ფავორიტმა ვასილი ივანჩუკმა (2775) ბოლო ოთხი (!) პარტია წააგო და ბოლოსწინა ადგილზეა.

რჩეულნი

# მამუკა გორგოძე სპორტულმა მედიამაც აღიარა

**მედიის 31 წარმომადგენელი მონაწილეობდა საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის ტრადიციულ საახალწლო რეფერენდუმში, რომელმაც გამოავლინა ქვეყნის 2011 წლის 10 საუკეთესო სპორტსმენი და საუკეთესო გუნდი. რეფერენდუმი წლეულს ორმოცდამეექვსედ გაიმართა. ანკეტებში სულ დასახელებული იყო 42 სპორტსმენი — სპორტის 14 სახეობის წარმომადგენელი.**




საქართველოს 2011 წლის №1 სპორტსმენი გახდა საქართველოს ნაკრებისა და ფრანგული „მონპელიეს“ მორაგბე მამუკა გორგოძე — 231 ქულა. საუკეთესოთა ათეულში 195 ქულით მეორე ადგილი ერგო საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებისა და იტალიური „კანადიან სოლარის“ ფორვარდს — ვიქტორ სანიკიძეს. 191 ქულა მოაგროვა და მესამე ადგილზე გავიდა მშვილდოსანი ქრისტინე ესებუა, მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი და ევროპის ზამთრის გუნდურ ჩემპიონატში გამარჯვებული.

**2011 წლის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:**

**1. მამუკა გორგოძე (რაგბი) — 231**
**2. ვიქტორ სანიკიძე (კალათბურთი) — 195**
**3. ქრისტინე ესებუა (მშვილდოსნობა) — 191**
**4. რევაზ ლაშხი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 138**
**5. დავით მარსაგიშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — 124**
**6. მანუჩარ ცხადაია (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა) — 102**
**7. ზაზა ფაჩულია (კალათბურთი) — 98**
**8 ნინო სალუქვაძე (ტყვიის სროლა) — 77**
**9. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (თავისუფალი ჭიდაობა) — 64**
**10. ირაკლი ცირეკიძე (ძიუდო) — 53**

ათეულთან ახლოს იყვნენ თორნიკე შენგელია (კალათბურთი), გია მაჭავარიანი (ძალოსნობა), მანუჩარ მარკოიშვილი (კალათბურთი), ლევან კობიაშვილი (ფეხბურთი).

წლის საუკეთესო გუნდად აღიარეს საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები, რომელმაც 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ჯგუფური ეტაპი გადალახა და კონტინენტის 12 საუკეთესო გუნდს შორის მოხვდა.

საუკეთესოთა შორის დასახელდნენ აგრეთვე საქართველოს მორაგბეთა (2011 წლის მსოფლიო თასის მონაწილე), მშვილდოსან ქალთა (ევროპის 2011 წლის ზამთრის გუნდური ჩემპიონატის გამარჯვებული), მოჭადრაკე ქალთა (ევროპის და მსოფლიოს 2011 წლის გუნდური ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი) და 19-წლამდელ ფეხბურთელთა (ევროპის ჩემპიონატის ელიტრაუნდის საგზურის მფლობელი) ნაკრები გუნდები.

**საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის გამოკითხვის ლაურეატები:**

**1964 — სლავა მეტრეველი, 1965 — ომარ ფხაკაძე, 1966 — ალექსანდრე მეტრეველი, 1967 — ზურაბ საკანდელიძე, 1968 — ვიქტორ სანეევი, 1969 — ნონა გაფრინდაშვილი, 1970 — თინათინ ლეკვეიშვილი, 1971 — ლევან თედიაშვილი, 1972 — ვიქტორ სანეევი, 1973 — ლევან თედიაშვილი, 1974 — ლევან თედიაშვილი, 1975 — ნონა გაფრინდაშვილი, 1976 — ვიქტორ სანეევი, 1977 — დავით კვაჭაძე, 1978 — მაია ჩიბურდანიძე, 1979 — თემურ ხუბულური, 1980 — ქეთევან ლოსაბერიძე, 1981 — რამაზ შენგელია, 1982 — მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 1983 — თეიმურაზ აფხაზავა, 1984 — მაია ჩიბურდანიძე, 1985 — დავით გობეჯიშვილი, 1986 — მაია ჩიბურდანიძე, 1987 — ლერი ხაბელოვი, 1988 — ნინო სალუქვაძე, 1989 — არ ჩატარებულა, 1990 — დავით გობეჯიშვილი, 1991 — არ ჩატარებულა, 1992 — კახი კახიაშვილი, 1993 — კახი კახიაშვილი, 1994 — მოჭადრაკე ქალთა ნაკრები, 1995 — გიორგი ვაზაგაშვილი, 1996 — ელდარ კურტანიძე, 1997 — გიორგი კანდელაკი, 1998 — გიორგი ასანიძე, 1999 — ნინო სალუქვაძე, 2000 — გიორგი ასანიძე, 2001 — გიორგი ასანიძე, 2002 — ელდარ კურტანიძე, 2003 — ელდარ კურტანიძე, 2004 — ზურაბ ზვიადაური, 2005 — რევაზ მინდორაშვილი, 2006 — ზაზა კედელაშვილი, 2007 — რამაზ ნოზაძე, 2008 — ირაკლი ცირეკიძე, 2009 — მანუჩარ ცხადაია, 2010 — დავით ზირაქაშვილი, 2011 — მამუკა გორგოძე.**

ფეხბურთი

# მიულერს დაეჯერება



**გახსოვთ ადამიანი-გოლი გერდ მიულერი?**

**დიახ, სწორედ ის, რომელსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებში გამართული 62 მატჩში 68-ჯერ ჰყავს მეტოქეთა მეკარეები დამწუხრებული, ხოლო მაშინდელ ბუნდესლიგაში 26 წლისამ 1971-1972 წლების სეზონი ფენომენალური შედეგით დაასრულა — 40 ზუსტი დარტყმა!**

ეს ბავარიელი ბომბარდირის უმდიდრესი კარიერის მხოლოდ შტრიხებია, მთლიანობაში კი მიუნხენის „ბაიერნის“ მაისურით ნათამაშევ 453 შეხვედრაში 1964-1979 წლებში 398-ჯერ(!) ისახელა თავი.

აი, ასეთი გამოჩენილი სნაიპერიც კი სერიოზულად დააფრთხო ბავარიული გრანდის ამჟამინდელი ლიდერის, ასევე 26 წლის მარიო გომესის I წრის მონაგარმა — 16 გატანილი ბურთი (სულ 2009 წლიდან მოყოლებული — 77 ბრძოლაში 54 გოლი): „ვფიქრობ, მას შეუძლია გამასწროს, პირველ რიგში იმიტომ, რომ ჩვენი ეპოქისგან განსხვავებით, ახლა თავდამსხმელს აღარ მეურვეობს ორი და მეტი მცველი“ — აცხადებს მიულერი.

ვინ ვის და XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე ნაყოფიერ მეგოლეს ნამდვილად დაეჯერება.

კალათბურთი

# მიტოვებული, ვით მეფე ლირი



**სანქტ-პეტერბურგში, საკუთარ „კომუნალკაში“, სიმარტოვეში აღესრულა რუსეთის უმაღლესი ადამიანი ალექსანდრე სიზონენკო.**

**248-სანტიმეტრიანი გიგანტის საკალათბურთო კარიერა იქაურ „სპარტაკში“ დაიწყო და 1986 წელს კუიბიშევის „სტროიტელში“ დასრულდა.**

**თავიდან ჯანმრთელობაშერყეულ ვეტერანზე ძველი მეგობრები ზრუნავდნენ, ხოლო შემდეგ — ნევისპირა ქალაქის „მამები“ და მშობლიური კლუბი.**

**შარშან აგვისტოში 200-კილოგრამიანი ინვალიდი საავადმყოფოში მოხვდა, საიდანაც სახლში დასაბრუნებლად საგანგებო სიტუაციათა სამინისტროს 6 თანამშრომლის დახმარება გახდა საჭირო საკაცის ასაწევად.**

**დაბოლოს: ბავშვობაში სიზონენკომ თავზე ჰიპოფიზის უმძიმესი ოპერაცია გადაიტანა, თამაშს თავი ჰორმონალური აშლილობის გამო დაანება, ხოლო მას შემდეგ, რაც პენსიონერი გახდა, ოსტეოპოროზით გატანჯული ყავარჯნებს „დაუახლოვდა“...**

ინტერნეტიდან

## „დაკარი — 2012“ — დანაკარგებით



**როგორც უკვე ვწერდით, ტრაგიკული გამოდგა სამხრეთ ამერიკული ავტორალის „დაკარის“ პირველსაიანვრო სტარტი. პირველსავე დღეს დაიღუპა არგენტინელი მოტოციკლისტი, 38 წლის ხორხე ბოერო.**

მეორე დღეს კი ფრანგი მოტოციკლისტი ბრუნო და კოსტა მთელი სიჩქარით შეასკდა ტრასაზე მყოფ ძროხას. საბედნიეროდ საავადმყოფოში გადაყვანილი მრბოლი გადარჩა. საწყალი ძროხა!

საერთო ჯამში „დაკარის“ ოთხდღიანი რბოლის შემდეგ სხვადასხვა მიზეზებით რალიდან ოფიციალურად მოიხსნა 22 მოტოციკლისტი, მსუბუქი ავტომანქანების 23 ეკიპაჟი, 5 კვადროციკლისტი და სატვირთო მანქანების 3 ეკიპაჟი.

4 ეტაპის შემდეგ ლიდერობენ ავტომანქანებში ფრანგები პეტერანსელი და კოტრე, სატვირთო მანქანებში — ჰოლანდიელ-ბელგიელები დე როი, როდევალდი და კოლსოული, მოტოციკლისტებში — ფრანგი დეპრე, კვადროციკლებში კი არგენტინელი მარფეი.

ოთხ დღეში ქარავანმა გაიარა 2852 კმ, საიდანაც 889 კმ. სპეც უბანი იყო.

## სტოიჩკოვი — მთავარი მწვრთნელი




**ყველაზე სახელგანთქმული ბულგარელი ფეხბურთელი, „ოქროს ბურთისა“ და უამრავი სხვა ჯილდოს მფლობელი ხრისტო სტოიჩკოვი დანიშნეს ქვეყნის მოქმედი ჩემპიონის ლოვეჩის „ლიტესკის“ მთავარ მწვრთნელად.**

როგორც ბულგარული „ტოპსპორტი“ წერს, ხრისტო სტოიჩკოვი მადლობას უხდის კლუბის მთელ ხელმძღვანელობას და განსაკუთრებით მის მფლობელ გრიშა განჩევს დიდი ნდობისთვის, არავითარ დაპირებას არ ვიძლევიო, ყველაფერი მინდორზე გამოჩნდებაო.

სტოიჩკოვმა კარიერა დაიწყო იური გაგარინის სახელობის ქარხნის გუნდში, ძალზე მალე აღმოჩნდა დედაქალაქის ცსკაში, შემდეგ კი მთელი მსოფლიო შემოიარა — „ბარსელონა“, „პარმა“, „ალ-ნასრი“, „ჩიკაგო“ და სხვები, შემდეგ კი ბედი მწვრთნელობაშიც სცადა.

## მკერდით რელიგიასაც იცავს



**ბუქარესტის „სტიაუას“ ყველაზე ცნობილი გულშემატკივარი ადინა ბარბუ ბოლო დროს განსაკუთრებული ყურადღების ცენტრშია. ჯერ ერთი, როგორ შეიძლება ლამაზმანს ყურადღება და ინტერესი არ გამოეწვია განსაკუთრებით მამაკაცებს შორის. მეორეც — ადინა ძალზე აქტიურ ცხოვრებას ეწევა, რითაც რუმინელი ქალების და არა მარტო მათი, დიდი ინტერესითაც სარგებლობს. არცთუ დიდი ხნის წინათ, მას მოატანეს ვინმე პეპესთან, ცნობილ მოქეიფედ და ტელევარსკვლავად რომ იცნობენ. ბევრმა გადაწყვიტა, რომ ადინასა და პეპეს რომანი ჰქონდათ, რაც ქალიშვილმა ადვილად უარყო.**

უნდა ითქვას, რომ რუმინეთში ყველაზე დიდი მკერდის მფლობელმა ახალი წელი დაიწყო საპროგრამო განცხადებით, რომ მას კარიერის გაკეთება უნდა ტელევიზიაში, იქნებ ამან გამოიწვია პეპესთან ურთიერთობა. მან ისიც თქვა, რომ უნდა შოუს გაკეთება საკუთარი თემატიკით, რაც პოლიტიკასა და რელიგიას შორის იქნება. შესაძლოა ამის გამო მაინც რუმინელი მამაკაცები კათოლიკეები გახდნენ.

## ოცდახუთსა დეკემბერსა, ქრისტე იშვა ბეთლემსაო...

### შობის ღამე და დიადი სასწაულები

**იესო ქრისტე იშვა ღამით, როცა ბეთლემში და მის შემოგარენში ყველა ღრმა ძილს იყო მიცემული.**

შობის ღამეს, მთელს სამყაროში, დიადი სასწაულები მოხდა. მაცხოვრის დაბადებისთანავე გამოქვაბულში უეცრად პირდაპირ ქვიდან წყარო ამოხეთქა; მისგან შორს, რომში კი მიწიდან სურნელოვანმა ზეთმა იწყო დენა და მდინარის წყალს შეერია; წარმართული ტაძარი, რომელსაც მარადიულს ეძახდნენ, დაინგრა, მასში მდებარე კერპები დაიმსხვრა, ცაზე კი სამი მზე გამოჩნდა; ესპანეთში იმ ღამეს ცაზე თვალისმომჭრელად მბრწყინავი ღრუბელი გაჩნდა; ისრაელში, მიუხედავად ზამთრისა, ვაზი აყვავდა. ხოლო ყველაზე დიდი სასწაული ანგელოზების გამოცხადება იყო, რომლებიც მწყემსებს გამოეცხადნენ და სახარებაშიც არის აღწერილი:

გამოქვაბულის მოპირდაპირედ, რომელშიც მაცხოვარი იშვა, მაღალი კოშკი იდგა. კოშკში მწყემსები ცხოვრობდნენ. სამ მათგანს იმ ღამეს არ ეძინა, ვინაიდან ფარას მწყემსავდნენ. სწორედ მათ გამოეცხადა მთავარანგელოზი გაბრიელი ზეციური ბრწყინვალებით. მის დანახვაზე მწყემსები ძალიან შეშინდნენ, მაგრამ გაბრიელმა უთხრა მათ: „ნუ გეშინიათ! მე გახარებთ თქვენ უდიდეს სიხარულზე, რომელიც იქნება ყოველი ადამიანისთვის: რამეთუ დავითის ქალაქში მხსნელი იშვა, რომელიც არის უფალი ქრისტე“.



ამ სიტყვებით მთავარანგელოზმა მესიის ჭეშმარიტ დანიშნულებაზე მიანიშნა, რომელიც არა მარტო ებრაელთათვის მოვიდა, არამედ ყველა ხალხისთვის, რამეთუ სიხარული იქნება ყველასათვის, ვინც მას მიიღებს, როგორც მხსნელს. გაბრიელმა ისიც უთხრა მწყემსებს, თუ სად იპოვიდნენ ახალშობილ ყრმას.

იმ დროს, როცა გაბრიელმა ამის შესახებ მწყემსებს აუწყა, ზეციდან მრავალი ანგელოზის გალობის ხმა მოისმა, რომლებიც ასე ადიდებდნენ ღმერთს: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“.

### ალილო — ანგელოზთა საგალობელი

სიტყვა „ალილო“ „ალილუიადან“ – ანგელოზთა საგალობლიდან მომდინარეობს, რაც ნიშნავს – „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“, რაც ებრაულიდან მომდინარეობს – ებრაელები ამ სიტყვებით განადიდებდნენ ღმერთს; შემდეგ ქრისტიანობაშიც გადმოვიდა... ჩვენი წინაპრები ხშირად ისმენდნენ მსახურებებზე სხვადასხვა საგალობელს, სადაც იხსენიება ალილუია. თვითონაც წერდნენ ღვთის განსადიდებელ ლექსებს, სიმღერებს და საგალობლებს, რომლებიც ეკლესიაში **არსებობდა, მაგრამ ეს ყველაფერი არ იყო ჩამოყალიბებული იმ სახით, რა სახითაც საეკლესიო კანონებში არსებობდა. სწორედ ამგვარად განიცადა სახეცვლილება „ალილუიამ“ და ხალხში „ალილოდ“ – რაც საერო საშობაო საგალობელი ან სიმღერაა – დამკვიდრდა.**

ადამიანები ამ საგალობლითაც ულოცავდნენ ერთმანეთს ქრისტესშობის დღესასწაულს; ისინი გულში ვერ იტევდნენ მაცხოვრის შობით გამოწვეულ სიხარულს, ქუჩაში გამოდიოდნენ და „ალილოს“ გალობით ახარებდნენ ერთმანეთს უფლის შობას.

### ყოვლადწმიდა ქალწული, ვითარცა კიბე...

**შობა ყოვლადწმიდა ქალწულისა მარიამისა, ვინც უმანკო სხეულით განკაცებული უფალი იტვირთა, ქრისტიანთა ერთ-ერთი უდიდესი დღესასწაულია. ღვთისმშობელმა სიწმინდითა და სათნოებით არა მხოლოდ ყველა მოკვდავს, ყველა ანგელოზსაც გარდაამეტა, ღვთის ცოცხალ ტაძრად იქცა, როგორც მას წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია უგალობს, გახდა „ზეციური ბჭე, რომლითაც ქრისტე ამქვეყნად მოვიდა ჩვენს სულთა სახსნელად“.**

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ზეციურ იერარქიაში თვით უმაღლესი დასის ანგელოზებზე მაღლა დგას. როგორც მისდამი მიძღვნილ ერთ-ერთ საგალობელშია, „უპატიოსნესი ქერუბიმთა და აღმატებით უზესთაესი სერაფიმთა“.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი ყველას შემწე და მეოხია, მაგრამ საქართველოსა და ქართველებს იგი განსაკუთრებით მფარველობს. ეს იმიტომ, რომ, საღვთო გადმოცემის თანახმად, ივერია ღვთისმშობლის წილხვედრია. როცა მოციქულები წილს ყრიდნენ, ვის რომელ მხარეში ექადაგა ქრისტეს რჯული, ღვთისმშობელს საქართველო ხვდა წილად, მაგრამ დედალვთისას უფალი გამოეცხადა და აუწყა, არ დაეტოვებინა იერუსალიმი, ვინაიდან მოახლოებული იყო მისი მიძინება, და ისიც აღუთქვა, რომ მისი წილხვედრი მიწა მომავალში გაბრწყინდებოდა. ასე რომ, ღვთისმშობლის ნაცვლად საქართველოში ანდრია პირველწოდებული გამოგზავნეს.

საქართველო რომ ღვთისმშობლის მფარველობის ქვეშ იმყოფება, ეს ღვთის დიდი წყალობაა, მაგრამ ამავდროულად უდიდესი პასუხისმგებლობაც. წყალობას, მადლიერების გარდა, ღირსეულად მიღებაც სჭირდება, რადგან წყალობა მხოლოდ მაშინაა ჯილდო, როცა ერთგულად მსახურებ უფალს; თუ უღირსად ექცევი ბოძებულ მადლს, იგი სასჯელად იქცევა.

ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის შობას მართლმადიდებელი ეკლესია 21 (ძვ. სტ. 8ძ სექტემბერს დღესასწაულობს. ამ დღეს ტაძრებში საგანგებო საგალობლებს აღავლენენ – ადიდებენ ყოვლადწმიდა ქალწულს, ვითარცა კიბეს, რომელმაც ცა და დედამიწა შეაერთა, როცა ხორციელად შვა უფალი, და ვითარცა „მაყვალს შეუწველს“, რადგან დაიტია ღმერთი და არ დაიწვა.

### მსვლელობა სამების საპატრიარქო ტაძარში დასრულდება

21 საუკუნის წინათ ცამოჭედილ ღამეს ბეთლემის პატარა ქვაბში დაიბადა იესო ,მაშვრალთა იმედი და ნუგეში, ტანჯვის შემამსუბუქებელი და სიკვდილითა სიკვდილითა დამთრგუნველი.. მაშინ პატარა ქვაბი ვერ იტევდა ამ უდიდეს სიხარულს. საუკუნეების შემდეგ ეს საერთო სიხარული აერთიანებდა ვარდების მოედანზე შეკრებილ ხალხს. ადამიანები ერთმანეთს ქრისტეს შობას ულოცავენ. ტრადიციულმა ალილომ, რომელიც საქართველოს ყველა კუთხეში იმართებოდა, რამდენიმე წელია მასშტაბური სახე მიიღო.

ქრისტეს შობის მახარობლები ყოველ წელს ამ ადგილას იკრიბებიან და მსვლელობაც იწყება. სულ წინ პატარა ანგელოზები, მათ უკან სტიქარში გამოწყობილი ახალგაზრდები, შემდეგ მწყემსები, მწყემსებს იმიტირებულ აქლემებსა და სპილოებზე შემომსხდარი მოგვები მოჰყვებიან, სპეციალურად ამ დღისთვის ჩამოყვანილ ურემზე შემოწირულობა გროვდება. მსვლელობა რამდენიმე ადგილას ჩერდება. პირველად პარლამენტთან, ქრისტეს შობის მახარობლებს პარლამენტარები ტკბილეულით ხვდებიან. მსვლელობა აუცილებლად საკრებულოსთანაც შეჩერდება. საკრებულოს წევრები ამ დღისთვის ყოველწლიურად ემზადებიან.

ზამთრის ერთ სუსხიან ღამეს, როდესაც მწყემსებს უფლის ანგელოზი გამოეცხადა და უფალ იესო ქრისტეს დაბადება აცნობა, მიხვდნენ, რომ ეს ის მხსნელი იყო, რომელსაც კაცობრიობა ადამ და ევადან მოყოლებული დიდი იმედით ელოდებოდა. ეს ის სიხარულია, რომელიც ყველა საუკუნეს უძლებს და ყველა ქრისტიანის გულში იბადება. მსვლელობა ტრადიციულად მთელს რუსთაველს გაივლის და სამების საპატრიარქო ტაძარში დასრულდება. შეგროვილი შემოწირულობა კი ბავშვთა სახლებსა და უპოვართა თავშესაფრებს გადაეცემათ. 7 იანვარს, ღამეს ყოველი ჩვენგანის სულში იბადება მაცხოვარი... და ჩვენც ერთმანეთს ვულოცავთ სიტყვებით – იესო დაბადებულა.

**ნატა ნიბლაძე**

## მადლობა

### სასწაულმოქმედი დასტაქარი

**მე საქართველოს ულამაზესი კუთხიდან რაჭიდან ვარ. მყავს ერთადერთი, 23 წლის ქალიშვილი გულსუნდა, იგივე თამარ სვანიძე, რომელიც დაავადებულია უმძიმესი სენით – ციროზი B, C ჰეპატიტით, დელტა ვირუსით. სასწრაფოდ ესაჭიროება ღვიძლის გადანერგვა, რისი შესაძლებლობაც არა მაქვს. ამ ავადმყოფობას მოჰყვა ელენთის გიგანტური ზრდა: საჭირო გახდა სასწრაფო ოპერაციული ჩარევა. ასეთ მდგომარეობაში მყოფი პაციენტისთვის ხელის მოკიდება ბევრ ექიმს გაუჭირდა. ეს პასუხისმგებლობა აიღო შპს „ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალის“ ქირურგმა ხვიჩა ხაჯაველიძემ, ეს მაშინ, როცა გადარჩენის შანსი თითქმის არ იყო. უიმედობით შეპყრობილს, შვილის სიცოცხლე შემინარჩუნა. დიდ მადლობას ვუხდი ჩვენში იმედის ჩამსახველ ძვირფას ადამიანს, ხელმადლიან ქირურგს.**

**ღმერთი იყოს ხვიჩა ხაჯაველიძის, ანესთეზიოლოგ ოთარ დუშელის და შპს „ბარნოვის სახელობის ჰოსპიტალის“ მთელი მედპერსონალის მფარველი.**

**სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით არ არის ღვიძლის გადანერგვის კლინიკა, თორემ ხვიჩა ხაჯაველიძე ამ სიახლის ერთ-ერთი ინიციატორი იქნებოდა და ბევრის გულს გაახარებდა.**

**იცოდეთ: ჩვენ სასწაულმოქმედი დასტაქარი გვყავს!**

**ციური ჭოხონელიძე-სვანიძე**

## გახსენება

აგერ ორმოციც შესრულდა, რაც ქვეყნისა და ხალხის წინაშე ვალმოხდილი წახვედი ჩვენგან, ჩვენო მართლაც სხვათა სიყვარულში დამაშვრალო ძვირფასო ვალიდა. ამ შენგან დათესილი დიდი სიყვარულის ულამაზესი ყვავილივით მოვიდა შორეული ისრაელიდან შენი სიყრმის მეგობრის ქალბატონ ლიანა ვაშაკიძის ბარათი, რომელსაც დღეს ჩვენი თხოვნით აქვეყნებს გაზეთი.



შენი დამწუხრებული და
**ნანული მუშკუდიანი,**
სიძე **შოთა დარსაველიძე**
და უახლოესი ადამიანები

### შენ ჩემი ცრემლი დაგაკლდა!..

**ჩემი მეგობრის ვალიდა მუშკუდიანის გამოსათხოვარი**

ეხ, რა მალე გაფრენილა წლები, ჩემო ვალიდა! ნუთუ ჩვენს მხრებზე დათოვა 8 ათეულმა წელმა? წავიდა და წაიღო ჩვენი ახალგაზრდობა, უდარდელობა, მხიარული გულები და სხვაც ბევრი რამ, მაგრამ ერთადერთი, რაც ვერ წაგვართვა, რაც დრომ ვერ დააბერა, ჩვენი მეგობრობა და სიყვარულია. ჩემო ყოველი დროის საუკეთესო მეგობარო და არამარტო მეგობარო, – ჩემო ლხინის ჭირისუფალო. ასეთები ვიყავით, მე – შენთვის და შენ – ჩემთვის, ჩვენი ოჯახებით. რამდენი რამის გახსენება შეიძლება ჩვენი ცხოვრებიდან, ისეთის, რაც ჭეშმარიტი მეგობრობის მაგალითია. მაგრამ ახლა ეს ყველაფერი წარსულია. მე ახლა შენი ამქვეყნად არყოფნა მადარდებს, ჩემო ვალიდა. ის მაწუხებს, ის მადარდებს, რომ უკანასკნელ გზაზე მიმავალს ვერ გისაგზლე ჩემი გულის და ხელების სითბო, ვერ გაგამხნევე და, რაც მთავარია, გულზე ვერ დაგაყარე ჩემი გულწრფელი და მდუღარე ცრემლი.

შენ ჩემი მერამდენე მეგობარი ხარ, რომელიც მარადიულ განსასვენებლამდე ვერ მიგაცილე, ეს ჩემი ტკივილია. დღეს ამ ადამიანებს შენც შეემატე. შემოდგომის ფოთლებივით დასცვივდით ჩვენი მეგობრობის ხეს ფოთლები და თითოეულს ჩემთვის ძვირფასი ადამიანების სახელები ჰქვია. ახლა შენც მზად ხარ მარადისობაში გადასასვლელად. გაცილებ შორიდან, თვალზე ცრემლი არ მაშრება, მაგრამ თავს ზემოთ ძალაც არ მაქვს. ამ წმინდა მიწაზე ანთებული სანთლით ღმერთს შევღაღადებ შენს სულს, ნათელში გამყოფოს!

მე კი შენს მარადიულ მეგობრად ვრჩები, ჩემო ვალიდა! ნუ იფიქრებ, რომ შენ ჩემი ცრემლი დაგაკლდა!..

უღრმესი გულისტკივილით
**ლიანა ვაშაკიძე,**
ისრაელი, აშდოდი, 2 დეკემბერი, 2011 წელი.

---

ოთარ ფაცაცია, ნოდარ ჭითანავა, ბონდო ჯიქია, ოთარ ჭითანავა ღრმა მწუხარებით იუწყებიან

**გურამ გაბუნიას**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ციალა, ნატალია, მარინა, ირაკლი, თეიმურაზ ანდრიაძეები, თენგიზ ქრისტესიაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**გურამ დიმიტრის ძე გაბუნია**

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი პოეტი, ჩვენი გაზეთის ავტორი და მეგობარი

**ოთარ შალამბერიძე**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

## დღესასწაული

# ხორციელად შობა უფლისა ღვთისა მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი



...იოსები და მარიამი დავით მეფის ტომისგან მოდიოდნენ და ქალაქ ბეთლემში გაემგზავრნენ. იქ ღამის გასათევი ადგილი არსად დახვდათ და ქალაქის მახლობლად, გამოქვაბულს შეეფარნენ. ეს ადგილი უამინდობის დროს პირუტყვთა სადგომი იყო... აქ იშვა მაცხოვარი. მარიამ ღვთისმშობელმა სახვევებში შეახვია ყრმა და ბაგეზე მიაწვინა...

უფლის დაბადება ანგელოზთა დასმა ღვთაებრივი გალობით ამცნო მწყემსებს მახლობელ სოფელში: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა, მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება...“ მწყემსები გამოქვაბულისკენ გაემართნენ, რათა საკუთარი თვალით ენახათ ჩვილი და მისი მშობლებისთვის ეხარებინათ, რაც იხილეს.

**იესო ქრისტეს ხორციელად შობას განსაკუთრებული ზეიმით აღნიშნავს მართლმადიდებელი სამყარო, საქართველოს სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ქრისტეს შობას, ამით აღსრულდა უფლის დანაპირები კაცთა მიმართ, რომ მოუვლენდა მხსნელს სოფლისასა.**

ყოვლადწმინდა ქალწულ მარიამისგან იშვა მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე იუდეის ბეთლემში, მთელი მსოფლიო, წარმართულ რელიგიათა მსახურნი თუ ფილოსოფოსნი მოუთმენლად ელოდნენ მხსნელის მოვლინებას ამქვეყნად, რათა ცოდვის ტყვეობაში ჩაძირული სამყარო ნათლობის ემბაზში განბანილი სამუდამოდ შერთვოდა ჭეშმარიტ ღმერთს.

ქრისტეს შობის დღეებში რომის იმპერატორმა გამოსცა ბრძანება საყოველთაო აღწერისა. ყველა ებრაელი თავისი წინაპრის ქალაქში უნდა ჩაწერილიყო.

უფლის თაყვანისაცემად მოგვებიც გამოემგზავრნენ, რომელთაც ვარსკვლავებზე დაკვირვებით ემცნო იესოს განკაცება. ბეთლემისკენ მათ ღვთაებრივი ვარსკვლავი მიუძღოდა. განგების ნებით, მოგვები ბეთლემს ეწვივნენ და იხილეს იესო თავის ხორციელ მშობლებთან ერთად. მათ თაყვანი სცეს უფალს და შესწირეს ძღვენი – ოქრო, გუნდრუკი და მური.

როგორც დიდი აკაკი იტყვის:

**„დიდება ყოვლის შემოქმედს,**
**დიდება მისსა მცნებასა!**
**დიდება ქვეყნად მაცხოვრის**
**ხორციელ მოვლინებასა!..**

**გილოცავთ შობის ბრწყინვალე დღესასწაულს!**

**გიული ლიპარტია**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 599 32-85-76.

## დაიჯესტი

### როცა კუკულკანი „მიფრინავს“



**ყოველ წელს, გაზაფხულისა და შემოდგომის ბუნიობის დღეებში, მექსიკაში, ნახევარკუნძულ იუკატანში, ცხრასაფეხურიანი მაიური პირამიდის ჩიჩენ-იცას ფუძესთან უამრავი ტურისტი იყრის თავს.**

ესაა მაიას ტომის ინდიელთა უზენაესი ღვთაების, ნაკრტენიანი გველეშაპის კუკულკანის ტაძარი. მრავალი საუკუნის წინათ აგებული ოცდაოთხმეტრიანი პირამიდა ისეთი ოსტატობითაა აგებული, რომ ცარგვალზე გადაადგილებული მზე მის საფეხურებს ისეთი თანმიმდევრობით ანათებს, რომ სამკუთხედის ფორმის სიმეტრიული ჩრდილები წარმოიშვებიან. სვეტების ჩრდილებთან ერთად ისინი ბოლოს სხეულს ჰქმნიან, რომელიც ნაკრეტენიან გველეშაპს მოგვაგონებს. რამდენიმე საათში, როცა მზე გადაიწვერება, სამკუთხა ჩრდილები ზევით გადაადგილდებიან – კუკულკანი „მიფრინავს“.

### „ხომ იცი, როგორ მეწყინებოდა შენი სიკვდილი!“



**გენიალური ინგლისელი ფიზიკოსის, მათემატიკოსის, მექანიკოსისა და ასტრონომის ფენომენალური გონებაგაფანტულობა საყოველთაოდ იყო ცნობილი. ამას სერ ნიუტონის მიერ თავისი მეგობრისადმი, სამხედრო პირისთვის მიწერილი ბარათიც მოწმობს, რომელშიც დიდი მეცნიერი, კერძოდ წერს:**

„აქ ყველას პირზე მხოლოდ ერთი ამბავი აკერია, რომ შენ ორ ბრძოლაში გაიმარჯვე, მესამეში კი მოგკლეს. მომწერე, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ყოველივე. ხომ იცი, როგორ მეწყინებოდა შენი სიკვდილი!“

### „ეკოლოგიური“ მუსიკა

**ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი უდიდესი ნიუ-იორკის წმინდა იოანეს სახელობის ტაძარში ღვთის მსახურების დროს მე-20 საუკუნის 80-იან წლებში... ჯაზი უკრავდა!**

გოთურ თაღებქვეშ კომპოზიტორ პ.იუნტერისა და ტაძრის მოძღვრის მიერ შექმნილ „ეკოლოგიურ“ მუსიკას ასრულებდნენ. მუსიკაში ჩართული იყო ფირზე ჩაწერილი ბუნების ხმები – ჩიტების ჭყურტული, მგლების ყმუილი, ვეფხვთა ბრდღვინვა, სელაპებისა და ვეშაპების სასიყვარულო ძახილები...

გარდა ამისა, ტაძარში პ.იუნტერის სხვა „ეკოლოგიური“ ნაწარმოებებიც სრულდებოდა, მათ შორის „გეას მესა“ – დედამიწის ბერძნული ქალღმერთისადმი სამადლობელი მიმართვა, მზის დღის მუსიკა... საქმე ის არის, რომ ამ მუსიკით კომპოზიტორსა და ღვთის მსახურს ეკოლოგიური პრობლემებისადმი მორწმუნეთა ყურადღების მიპყრობა სურდათ.

### აცე, ვირებო!..

**დანაშაულებრივ მოქმედებათა ჩამდენთა დასჯის ორიგინალურ ხერხს მიმართავენ ინდოეთის დედაქალაქ დელის პოლიციელები: კანონის დამრღვევებს ვირებზე შესმულებს ქალაქის ქუჩებში დაატარებენ!**

ამ „მხედართა“ ზურგზე, ჩვეულებრივ, პლაკატებს აკრავენ, წარწერებით „მე ქურდი ვარ“, „მე სუტენიორი ვარ და ქალებს ვცემდი“, „მე ნარკოტიკებით მოვაჭრე ვარ“ და ა.შ. მოქალაქეები, ჩვეულებრივ, თავიანთ აღშფოთებას სტვენით და დამნაშავის მიმართ შეურაცხმყოფელი სიტყვების წამოძახებით გამოხატავენ.



– დამნაშავის ქუჩაში ვირით ჩამოტარება პრევენციის ერთობ ქმედითი ზომაა, – აცხადებენ დელის პოლიციის ხელმძღვანელები. – საქმე ისაა, რომ ინდოეთში ასეთი პროცედურა უაღრესად დამამცირებელია.

### გველთევზას ტყავის... ხელთათმანი

**გველთევზა მთელ მსოფლიოში დელიკატესად ითვლება, სამხრეთ კორეაში კი მას, უმთავრესად... ტყავის გამო იჭერენ.**

**ამ ტყავის დამუშავების ცენტრში, ქალაქ ჩუნგმუში, მისგან ფეხსაცმელს, ქურთუკებს, ჩემოდნებს, ქამრებს, პორტსიგარებსა და, რაღა თქმა უნდა, ხელთათმანებს ამზადებენ. აღსანიშნავია, რომ გველთევზას ტყავი მეტად გამძლე, თხელი და საოცრად რბილია.**

მაგრამ, ყველა ღირსებასთან ერთად, მას ერთი სერიოზული ხარვეზიც აქვს, რომელიც თევზის სხეულის ფორმითაა განპირობებული. არსებითად კი ლაპარაკია ორისამი თითის სიგანის ტყავის ნაჭერზე, ამდენად, მასალის ხარჯი, განსაკუთრებით კი გაბარიტული ნივთების დამზადებისას, ძალიან დიდია. ამის გამო გველთევზას ტყავისგან ნაკეთობათა დამზადება, მისი დიდი შრომისტევადობის გამო, მხოლოდ იქაა მომგებიანი, სადაც დიდი ხნის ტრადიციების მქონე ძალიან იაფი მუშახელია, რომელსაც ხელით შრომის დიდი გამოცდილება აქვს, თანაც ამ სფეროში კონკურენცია, ფაქტობრივად, არ არის.



გველთევზას ტყავის ნაწარმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ყველაზე ძვირიან მაღაზიებში იყიდება, თუმცა შიდა ბაზარზე ამ ნაკეთობებზე მოთხოვნა თითქმის არ არის.

## ანეკდოტები

დგას ქალი სარკის წინ. არ მოსწონს სარკეში თავისი გამოსახულება.

– მგონი საშინლად გამოვიყურები! შენ მაინც მითხარი რამე კომპლიმენტი, – ეუბნება ქმარს.

– გადასარევი მხედველობა გაქვს!

* * *

ხალხს მიაჩნია, რომ ყველაფერი ხელისუფლების ბრალია. ხელისუფლება მიიჩნევს, რომ ყველაფერი სახელმწიფო დეპარტამენტის აგენტების ბრალია. სახდეპის აგენტებს მიაჩნიათ, რომ ყველაფერი ხალხის ბრალია.



* * *

...ის, რაც მევალება, საგადასახადო კოდექსშია ჩაწერილი; ყველაფერი, რისი გაკეთების უფლებაც არა მაქვს, სისხლის სამართლის კოდექსში წერია. დანარჩენი – ჩემი შეხედულებისამებრ!

* * *

– ქმარი როგორ გეპყრობა? – ეკითხება დედა ახალგათხოვილ ქალიშვილს.

– შესანიშნავად! რაც არ უნდა ვთხოვო, უცებ ყიდულობს!

– ესე იგი, ცოტას სთხოვ!

* * *

– მამაკაცს ყველაფერი შეუძლია! – ამბობს კაცი.

– და ეს არის ყველაფერი? – ირონიულად უპასუხებს ქალი.

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77; 599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24